პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 25-ე წელი
№ 228 (10004)

შაბათი, 25 სექტემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ინგლისელ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ჯონ ბერნალს (1-ლი გვერდი).

უკრაინის სსრ დროგობიჩის ოლქის კოლმეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს (1-ლი გვერდი).

ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (1-ლი გვერდი).

რა ვნახეთ, რა შევისწავლეთ გამოფენაზე და რას გამოვიყენებთ ცხოვრებაში (1-ლი გვერდი).

დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ ყურძნის უხვი, ბარაქიანი მოსავალი. — ა. კოკლაშვილი. — ზუსტაფონელ მევენახეებთან (მე-2 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — ახალი სასწავლო წლის წინ (მე-3 გვერდი).

ლ. დელიუსინი. — ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია (მე-3 გვერდი).

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე (მე-3 გვერდი).

ლიკვიდირებულ იქნან ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში. გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის ამხ. გ. მ. პუშკინის წერილი გერმანიაში ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრის კონენტისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სასოფლო პარტიული ორგანიზაციები და საშემოდგომო თესვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დაუსახა უზრუნველყონ მომდინარე წლის საშემოდგომო ნათესებისათვის მიწის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავება, სასუქების შეტანა და საშემოდგომო კულტურების თესვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. რესპუბლიკის ბევრი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია პირნათლად ახორციელებს პარტიის ამ დიდმნიშვნელოვან მითითებას. ამის შედეგად წელს, შარშანდელთან შედარებით, საშემოდგომო თესვა უფრო სწრაფი ტემპით და ორგანიზებულად მიმდინარეობს.

საშემოდგომო სამუშაოთა წარმატებით ჩატარება დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე, იმაზე, თუ როგორ მოფიქრებულად და მიზანშეწონილად გავანაწილებთ ძალებს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, რამდენად ფართოდ გავაჩაღებთ მასებში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. კომუნისტები საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები, მისი სული და გული უნდა იყვნენ. სასოფლო პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუღალავად გასწიონ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, გააძლიერონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვების გამოვლინებისათვის.

სწორედ ასე აწყობენ მუშაობას პარტიის კაჩრეთის რაიკომი და რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობენ საშემოდგომო ხვნა-თესვას. სოფლის კომუნისტების ყურადღების ცენტრშია სათესლე მასალის მომზადების, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სრული სიმძლავრით გამოყენების, კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის პოლიტიკური აგიტაციის წარმოების, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის, გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის საკითხები.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ პურეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო თესვის ვადების ზუსტად დაცვას. ამიტომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები საშემოდგომო სამუშაოებს ისე აწყობენ, რომ თესვა დაამთავრონ არაუგვიანეს 10-15 ოქტომბრისა. ამ დღეებში პარტიის რაიკომის მუშაკები, რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორები და მდივნები მტს-ების ზონებში განუწყვეტლივ ინყოფენ კოლმეურნეობებსა და სატრაქტორო ბრიგადებში, კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს პრაქტიკულად ეხმარებიან მინდვრის სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში.

პარტია მოითხოვს, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტას დაუკავშირდეს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადადგა მცხეთის მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა მჭიდროდ დაუკავშირა ბრძოლას საშემოდგომო ხვნა-თესვის სწრაფი ტემპით და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. მექანიზატორთა შორის სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. ამ შესანიშნავი შეჯიბრების მოთავენი მტს-ის კომუნისტები არიან. მცხეთელმა მექანიზატორებმა უკვე დათესეს 1.200 ჰექტარზე მეტი პურეული. სოფლების ნიჩბისისა და ძველიქანდის კოლმეურნეობებში სატრაქტორო ბრიგადას უნარიანად ხელმძღვანელობს კომუნისტი შ. ილიევი. ამ ბრიგადის ტრაქტორისტები აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოკლე ხანში მთლიანად დაამთავრებენ თესვას.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა მთელი ძალები დარაზმონ იმისათვის, რომ არ დაუშვან ტრაქტორების მოცდენა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაბალ დონეზე და დაგვიანებით შესრულება. გასულ წელს მთელ რიგ რაიონებში, სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, ზუსტად არ იქნა დაცული თესვის ვადები და ამის გამო პურეულის დაბალი მოსავალი მიიღეს. ასე მოხდა, მაგალითად, ხაშურის რაიონში. რა დასკვნა გამოიტანა ამ შეცდომებიდან პარტიის ხაშურის რაიკომმა? როგორც ჩანს, აქაური ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები საკუთარ შეცდომებზე როდი სწავლობენ. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ წელსაც რაიონის კოლმეურნეობებში ცუდად მოემზადნენ საშემოდგომო კულტურების თესვის განსახორციელებლად. საშემოდგომო ხვნა-თესვის საკითხები მხედველობიდან გამორჩა სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი მ. ჩადუნელი). თესვის ვადები დადგა, იტრიაში კი თესვას ჯერაც არ შესდგომიან. 18 სექტემბრისათვის გაუწმენდავი და სათეს კონდიციამდე აყვანილი არ იყო 100 ცენტნერი ხორბლის თესლი. გარდა ამისა, კოლმეურნეობას 60 ცენტნერი სათესლე მასალა აკლია. ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად პარტიული ორგანიზაცია ზომებს არ იღებს. საშემოდგომო სამუშაოებისადმი ასევე უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ ქემფერის, ქვიშხეთის, ხიჯნისის და სხვა კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები.

ზოგიერთ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის, რომ მტს-ები გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. ეს პირდაპირ შეეხება პარტიის ახმეტის რაიკომს, რომელიც ცუდად ხელმძღვანელობს მტს-ებს, სათანადო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას არ ეწევა მექანიზატორთა შორის. ახმეტის მტს-ის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ ამ დღეებში წერდა „კომუნისტი“. ახმეტელმა მექანიზატორებმა ვერ უზრუნველყვეს ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობა, რაც ხვნა-თესვის გაჭიანურებას იწვევს. პარტიის რაიკომი კი თავს ისე აჩვენებს, თითქოს მტს-ის ცუდი მუშაობა მას არ ეხებოდეს. იგი არ ზრუნავს მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისა და ამ გზით საშემოდგომო ხვნა-თესვის მომდინარეობაში გარდატეხის მიღწევისათვის.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ საშემოდგომო სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლად. შირაქის მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ აგვისტოში კომუნისტების კრებაზე განიხილეს მოსავლის აღების დამთავრებისა და საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადყოფნის საკითხი. მიღებული დადგენილების შესრულება ცოტა ხნის შემდეგ შეამოწმეს და კიდევ ახალი დადგენილება მიიღეს. მაგრამ ყოველივე ამან ამოდ ჩაიარა: მტს-ი კვლავ ჩამორჩება საშემოდგომო ხვნა-თესვაში. მთელ რიგ სატრაქტორო ბრიგადებში არ ეწყობა აგიტატორების საუბრები, არ გამოდის „საბრძოლო ფურცლები“. მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ ნ. ალადაშვილი ახალგაზრდა მუშაკია, მას მეტი დახმარება და ცოცხალი ინსტრუქტაჟი ესაჭიროება. მაგრამ პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი შირაქის მტს-ის ზონაში ა. ტაღაშვილი ნაკლებ დახმარებას უწევს მას.

ამჟამად პარტიის სასოფლო რაიკომებისა და პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა მექანიზატორთა და კოლმეურნეთა მთელი ძალები დარაზმონ საშემოდგომო თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის, ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ თვითეული ბრიგადა, თვითეული ტრაქტორისტი შეუფერხებლად მუშაობდეს და წარმატებით ასრულებდეს სოციალისტური შეჯიბრეობით ნაკისრ ვალდებულებებს.

საშემოდგომო თესვა სერიოზული გამოცდაა სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისათვის, სოფლის თვითეული კომუნისტისათვის. ისინი მოწოდებულნი არიან ღირსეულად ჩაატარონ ეს გამოცდა, აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ინგლისელ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ჯონ ბერნალს

23 სექტემბერს კრემლის სვერდლოვის დარბაზში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ჯონ ბერნალს.

საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა მოკლე სიტყვაში დაახასიათა ჯონ ბერნალის დამსახურება. მან თქვა, რომ პროფესორი ჯონ ბერნალი საბჭოთა საზოგადოებრიობას მიაჩნია გამოჩენილ მეცნიერად და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწედ, მშვიდობის საქმისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუცხრომელ მებრძოლად.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა აკადემიკოსმა ა. ი. ოპარინმა, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა ვ. ი. სტრელცოვამ. მათ გულთბილად მიუღიცეს ლაურეატს ჯილდო და უსურვეს ახალი წარმატებანი მშვიდობისათვის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ჯონ ბერნალმა. მან განაცხადა, რომ მადლობით იღებს ჯილდოს და შეგნებული აქვს, რომ ეს ჯილდო მას მიენიჭა არა იმდენად პირადი დამსახურებისათვის, არამედ როგორც მის ქვეყანაში მშვიდობისათვის ათასობით აქტიური მებრძოლის წარმომადგენელს. სწორედ ეს ადამიანები, ინგლისის მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობის მონაწილენი, იმსახურებენ აღიარებას. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საშუალებით ისინი უკავშირდებიან მშვიდობისათვის მებრძოლებს საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქვეყანაში, ისინი ყველანი ერთად ესწრაფვიან უდიდეს ჯილდოს — თვით მშვიდობის მიღწევას.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მათ შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს.

ატომის საუკუნეში ადამიანებს აღარ შეუძლიათ ერთმანეთის მტრობა, თქვა პროფესორმა ჯონ ბერნალმა. თუ მათ სურთ არსებობა, მათ უნდა იცხოვრონ ერთმანეთს შორის მეგობრობითა და თანამშრომლობით. ამის აღიარება ჯერ კიდევ არ სურს ზოგიერთ მთავრობას, მაგრამ ეს უკვე ესმით ხალხებს.

საბჭოთა ხალხისათვის, განაცხადა შემდეგ პროფესორმა ჯონ ბერნალმა, მშვიდობის გზაა ძირითადად მისი შემოქმედებითი ამოცანების მტკიცედ შესრულება, რომლებიც საკმაოდ გრანდიოზულია იმისათვის, რომ შთანთქას მთელი მისი ენერგია; მისი მიღწევები ამ საქმეში შთამაგონებელი მაგალითია მთელი მსოფლიოსათვის.

ორივე ჩვენს ხალხს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ყოველი ღონისძიებით გაფართოოს ის კონტაქტი, რომელიც წარსულში საკმარისი არ იყო, რათა პირადი ურთიერთობის საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გაფანტოს ის უნდობლობა და ეჭვი, რასაც წინასწარი განზრახვით აჩაღებდნენ ჩვენს შორის მტრობის გამოსაწვევად.

იმედი მაქვს, თქვა დასასრულ პროფესორმა ჯონ ბერნალმა, რომ შევძლებ გამოვიყენო პრემია, რომელიც მე დღეს გადმომეცა, იმისათვის, რომ გავაფართოო მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობა, განვამტკიცო მშვიდობის საქმე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეესაბამება იმათ ინტერესებს, ვინც ამ ჯილდოს მაძლევს. (საკდესი)

აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი ლაურეატის დიპლომსა და ოქროს მედალს გადასცემს ინგლისელ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ჯონ ბერნალს. ფოტო ნ. პეტროვისა.

ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი

გუშინ, 24 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა პირველი კონცერტი.

თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილია. სცენა მორთულია ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. კონცერტის დაწყების წინ ორკესტრმა შეასრულა ინდოეთისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

კონცერტზე საინტერესო და შინაარსიანი პროგრამა შეასრულეს მომღერლებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა. მათ დამსწრეთ უჩვენეს ნიჭიერი ინდოელი ხალხის თავისთავადი, თავისებური და განუმეორებელი ხელოვნება.

თავდაპირველად შესრულებულ იქნა ეროვნული პოემის იუბალის პოემა „ჩვენი ინდოეთი ყველას სჯობია“.

ინდოელმა მოცეკვავეებმა თბილისელებს გააცნეს თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა სტილის საცეკვაო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ გამოჩენილ მსახიობებს გოპინდთხსა და ტარა ჩოუდრის.

გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი ლირიკული ცეკვებისა და ტემპერამენტიანი ხალხური ცეკვების (დოლით) შესანიშნავი შემსრულებლების სურიამუკხის, ტომბინო დევის, ბაბუ სინგხისა და ნადია სინგხის გამოსვლებს.

მეუხარე ტაშით დაჯილდოვეს ნიჭიერი მომღერლები მირა ჩეტერჯი, ასა სინგხ მასტანი, ვინაიაკ რაო პატვარდხანი, სურინდერ კაური. მათ დიდი გრძნობით და ოსტატობით შეასრულეს ხალხური სიმღერები მოსავალზე, სიცოცხლის სიხარულზე, ლირიკული სიმღერები, კლასიკური მელოდიები „კხიალ ბახარი“, „ტარანა“.

ინდოელმა მსახიობებმა დამსწრეთ უჩვენეს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის — სარანგის, სიტარის, ვინის, ტაბლის, მრიდანგამისა და სხვ. ნიჭიერი დაკვრა. მსმენელებმა მაღალი შეფასება მისცეს გამოჩენილი მუსიკოსების რავი შანკარის, ნარაიანასვამის, შაკურ ხანის, აგრეთვე მსახიობების, რომლებიც აკომპანემენტს ასრულებდნენ — დორაისვამის, სურიენარაინის, კრიშნა პილაის, გიან გხოშის, კოშენ მახარაჯის, იბოტონ შარმის ოსტატობას.

ინდოელ მსახიობთა გამოსვლა დამთავრდა იმით, რომ კონცერტის ყველა მონაწილემ შეასრულა ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი — ჯანა განა მანა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მან მკაფიოდ გამოხატა ღრმა სიმპათიისა და მეგობრობის გრძნობები, რომლითაც საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან დიდი ინდოელი ხალხის მიმართ.

კონცერტის შემდეგ მეგობარი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს თბილისის საზოგადოებრიობის სახელით გულთბილად მიესალმა ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფი. სტუმრებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ. შემდეგ მათ მიართვეს თაიგულები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა — ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურმა — ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ მ. ჩანდრასეკხარმა. (საქდესი).

რა ვნახეთ, რა შევისწავლეთ გამოფენაზე და რას გამოვიყენებთ ცხოვრებაში

გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ

ი. ნადირაძე,
საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გავეცანით მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს, მხარეებისა და ოლქების მოწინავე მევენახეთა გამოცდილებას. მევენახეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვისა და ფართო სარწყავი ქსელის მოწყობის გზით ტაჯიკმა მევენახე-ნოვატორებმა მიაღწიეს ჰექტარზე 300-ზე მეტი ცენტნერი სუფრის ყურძნის მოღებას.

ჩვენ ადრევე გვსმენია კახელ მევენახეთა შრომითი მოღწევების შესახებ. როგორც ცნობილია, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ვენახები გადაყვანილია შპალერზე და მევენახეობის შრომატევადი სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია, მაშინ როცა ჩვენს კოლმეურნეობაში 90 ჰექტარიდან შპალერზე გადაყვანილია მხოლოდ 25. ჩვენი ვენახების მთლიანად შპალერზე გადაყვანას ის აბრკოლებს, რომ მავთული გვაკლია. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საქმეში სათანადო დახმარებას გაგვიწევენ.

სამწუხაროდ, ჩვენთან დღემდე არ არის განხორციელებული ვენახების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. წელს გადავდგით ერთგვარი ნაბიჯები ამ მიმართულებით. მექანიზებულ დამუშავებაზე გადავიყვანეთ 4 ჰექტარი ფართობი. გამოფენაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა ფართო შესაძლებლობაა საპლანტაჟო გუთნის გამოყენებისათვის. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენს მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ჰქონდეს სპეციალური ტრაქტორი, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად ვაჯარმოოთ პლანტაჟი.

უნდა ითქვას ისიც, რომ გასულ წელს არ გვყოფნდა ვირმრელის აპარატები ბორდოს სითხის შესასხურებლად. რაც გვაქვს, ისიც დაგვძველდა. დახმარება გვესაჭიროება აგრეთვე პლანტაციებამდე წყლის მისაყვანად საჭირო მილებით უზრუნველყოფაში. ჩვენს პირობებში საუკეთესო მოსავალს იძლევა ციცქას, ცოლიკოურის, მუხრანულის ჯიშები. გეგმით წელს საშუალად ჰექტარზე უნდა მივიღოთ 54 ცენტნერი ყურძენი. ვფიქრობთ ჰექტარზე მოვკრიფოთ 60 ცენტნერამდე წმინდა შამპანური მასალის მომცემი ყურძენი.

მაგრამ გამოფენაზე მიღებულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ესეც ცოტაა. ჩვენ საკუთარი სადედე გვაქვს. ამჟამად ვაშენებთ კიდევ ნახევარ ჰექტარ ახალ სადედეს. ამისათვის ნიადაგი უკვე მომზადებულია და შემოდგომაზე დავამთავრებთ მის მოწყობას. მაგრამ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ყურძენი რომ მივცეთ, ამისათვის აუცილებლად უნდა განვახორციელოთ მევენახეობის ყველაზე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მინერალური სასუქები, ზუსტად გავატაროთ აგროტექნიკური ღონისძიებანი.

დავნერგავთ მოწინავე გამოცდილებას

ზ. კურტანიძე,
საჩხერის რაიონის სოფელ საკანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე.

ჩვენს კოლმეურნეობაში ადვილად შესაძლებელია მოეწყოს მეფრინველეობის ფერმა, სწორედ ისეთი, როგორიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ვნახეთ. იმის შესაძლებლობაც გვაქვს, რომ კოლმეურნეობაში მოვაწყოთ ტიპური საძროხე.

გამოფენაზე მიღებულმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენი კოლმეურნეობის პირობებში შეგვიძლია დავნერგოთ სხვადასხვა ძირხვენების წარმოება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. ჯერჯერობით ცუდად გვაქვს საქმე საძოვრების მხრივაც, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა, ცხადია, მარტო ჩვენი ძალებით არ შეიძლება.

სხვა საქმეა ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესების გაფართოება. ჩვენ ეს შეგვიძლია გავაკეთოთ და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. ამასთან ერთად აუცილებლად მიმაჩნია ჩვენს კოლმეურნეობაში მოვაწყოთ საკვების მექანიზებული შემზადება და მექანიკური გადამუშავება პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით. გამოფენის ექსპონატების მაგალითისამებრ ჩვენს ფერმაში შემოვიღებთ დღის განაწესს და პირუტყვის კვების დაწვრილებითს, სწორ რაციონს. წარმატებებში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება აგრეთვე მოზარდეულის ხელზე კვების შემდგომი განვითარება. ცივად აღზრდის მეთოდის შემოღება.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ თავისი არსებობის მანძილზე პირველად შეასრულა წველადობის გეგმა 1 სექტემბრისათვის. გავეცანით რა გამოფენაზე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეცხოველეთა მოწინავე გამოცდილებას, ვკისრულობთ მომავალ წელს ერთიორად მაინც გავადიდოთ ძროხის წველადობა მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით, მთლიანად შევასრულოთ დავალება მეცხოველეობის სულადობის განვითარების მხრივ.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

თამბაქოს შეტეხა

კოლმეურნეობებში გაჩაღებულია თამბაქოს შეტეხა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 სექტემბრის ცნობებით რესპუბლიკაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 153 მილიონი ზონარ-მეტრისა შეტეხილი იყო 115.945.166 ზონარ-მეტრი თამბაქო, რაც გეგმის 75,8 პროცენტს შეადგენს. წინა ხუთდღიურში — 15-დან 20 სექტემბრამდე კოლმეურნეობებმა შეტეხეს 9.394.541 ზონარმეტრი თამბაქო.

თამბაქოს შეტეხაში ყველაზე მეტად დაწინაურდა მარნეულის რაიონი, რომელმაც გეგმა 93,8 პროცენტით შეასრულა. აქ შესატეხი დარჩა მხოლოდ 1.189.863 ზონარ-მეტრი თამბაქო. აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თამბაქოს შეტეხის დავალება განაღდებულია 85,6 პროცენტით. ლაგოდეხის რაიონში გეგმა შესრულებულია 79,3 პროცენტით, შეტეხილია 21.811.100 ზონარ-მეტრი თამბაქო.

ყველაზე დიდი სამუშაოა შესასრულებელი ამ მხრივ აფხაზეთში, სადაც წელს 93.500.000 ზონარ-მეტრი თამბაქო უნდა შეტეხონ. 20 სექტემბრისათვის შეტეხილი იყო 65.157.400 ზონარ-მეტრი თამბაქო, ანუ დავალების 69,7 პროცენტი.

მზესუმზირას აღება

გარდაბნის რაიონმა უკვე გაანაღდა მზესუმზირას აღების დავალება. ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება ზოგიერთ სხვა რაიონშიც. გურჯაანის რაიონში მზესუმზირას აღების გეგმა შესრულებულია 99,7 პროცენტით, თელავის — 97,2, კაჩრეთის — 95,5, საგარეჯოს — 94,4, წითელწყაროს — 93,6, ახმეტის — 91,1, ყვარლის — 90,7, სიღნაღის — 84,5, ლაგოდეხის რაიონში — 84,2 პროცენტით და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ წელს მზესუმზირას ნათესი ყველაზე მეტი ფართობი — 5.224 ჰექტარი აქვს წითელწყაროს რაიონს, შემდეგ მოდის სიღნაღის რაიონი — 4.422 ჰექტარი, კაჩრეთის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს და სხვა რაიონები.

მზესუმზირას აღების რესპუბლიკური გეგმა 20 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 86,8 პროცენტით — 18.101 ჰექტარიდან აღებულია 15.709 ჰექტარი.

დაიწყო შაქრის ჭარხლის ამოღება

ქარელი (ტელეფონით საკ. კორ.). კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. უკვე აღებულია ჭარხალი 150 ჰექტარ ფართობზე. განსაკუთრებით უხვ მოსავალს იღებენ სოფლების ქარელის, ქვემოხვედურეთის, ახალსოფლის, ლეღეთის, სანებლის, კეხიჯვრის კოლმეურნეობები.

აგარის შაქრის ქარხნის მიმღებ პუნქტში მიტანილია 5.000 ცენტნერზე მეტი ჭარხალი. ქარხანა მზად არის ნედლეულის გადასამუშავებლად.

საშემოდგომო ხვნა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 სექტემბრის ცნობებით)

მტს-ები	გეგმის შესრულება პროცენტებით		
ხაშურის	44,1	ტიბაანის	95,6
გომის	50,6	წითლის	108,8
აგარის	54,2	შირაქის	88,6
ქარელის	76,9	გამარჯვების	94,3
რუსის	57,4	ქედის	124,3
გორის	86,8	თელავის	77,9
ახალსოფლის	82,4	ნაფარეულის	76,9
ტყვიავის	77,8	ახმეტის	84,0
შინდისის	75,6	ალვანის	76,8
კასპის	84,6	ყვარლის	95,2
სამთავისის	82,4	ენისლის	86,5
თეძამის	92,2	აფენის	87,5
დუშეთის	98,3	ლაგოდეხის	68,8
სტალინირის	36,1	ვარდისუბნის	77,2
ქსოვილის	51,3	დიღმის	87,3
ზნაურის	107,3	მარტყოფის	71,0
ლენინგორის	127,3	თელეთის	88,6
ვაჩიანის	65,7	სამგორის	105,3
ბარალეთის	85,3	გარდაბნის	87,7
ახალციხის	51,7	მცხეთის	100,4
ასპინძის	121,4	მარნეულის	68,4
ადიგენის	44,8	შულავრის	93,2
თიანეთის	66,4	კიზიყის	95,7
დმანისის	55,5	წითელხიდის	90,1
გომარეთის	51,4	ბოლნისის	91,7
ასურეთის	94,1	თამარისის	117,0
თეთრი წყაროს	83,0	საგარეჯოს	106,7
მანგლისის	102,2	იორის	77,3
გურჯაანის	77,5	სართიჭალის	108,6
ველისციხის	90,9	უჯარმის	98,2
კაჩრეთის	112,0	ბორჯომის	8,5
ბაღდათის	101,0		
ულიანოვკის	87,9		
წნორის	99,8		
ალაზნის	102,1		

სულ საქართველოს სს რეს. პუბლიკაში 84,6

უკრაინის სსრ დროგობიჩის ოლქის კოლმეურნეობებმა კურის დამზადების გეგმა შეასრულეს

დროგობიჩის ოლქის კოლმეურნეობებმა, ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ვადამდე შეასრულეს 1954 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩააბარეს ერთიორად მეტი პური, ვიდრე შარშან ამ დროს. მტს-ის მუშაობისათვის გადაცემული ანგარიშებით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება და მარცვლეულის მიყიდვა გრძელდება.

ახლა ოლქის კოლმეურნეობები თესავენ საგაზაფხულო კულტურებს, ყველა ღონისძიებას იღებენ, რათა თავის დროზე და ხარისხიანად განახორციელონ მზრალად ხვნა და ემზადებიან საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით მოწყობისათვის.

დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ ყურძნის უხვი, ბარაქიანი მოსავალი

★ ★

მაგალითის დიდი ძალა

სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობას მთავარი ადგილი უჭირავს. ამიტომ ალავერდელი კოლმეურნეები ვაზს სათუთად უვლიან, რითაც მევენახეობაში წლითიწლობით სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ.

თუ 1950 წელს მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 45 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობა 72 ცენტნერამდე ავიყვანეთ. ამ მიღწევებისათვის ჩვენმა კოლმეურნეობამ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ფართო მაჩვენებლებით მონაწილეობის სატიტო უფლება მოიპოვა.

საამაყოა მოწინავე ბრიგადირთა, მერგოლურთა და ცალკეულ კოლმეურნეთა შრომის შედეგები. მაგალითად, მევენახეობის მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი შ. გოგოლიძე) 1953 წელს მოსავლელად მიჩენილი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 78,5 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო ამ ბრიგადის პირველმა რგოლმა (მერგოლური გ. გოგოლიძე) 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 87 ცენტნერი. მევენახეობის მეორე ბრიგადის წევრმა ვ. კვანტრიშვილმა მოსავლელად მიჩენილ ვენახში ჰექტარზე დადაანგარიშებით 150 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

დაუღალავად შრომობენ მევენახეობის ახალი აღმავლობისათვის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები კ. სირაძე, ი. კვანტრიშვილი, გ. გორდეზიანი, ე. ჯანკოტაძე, ს. ყანჩაველი და სხვები, რომლებიც წელს საშუალოდ ჰექტარზე 90-100 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

როგორც ცნობილია, ზესტაფონის რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მევენახეობის ისეთ ძირითად რაიონთან, როგორიც არის გურჯაანის რაიონი. ჩვენი კოლმეურნეობა კი ეჯიბრება ამ რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობას. გასულ წელს ჩვენი რაიონის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ვნახე გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობების, კერძოდ კი ვაზისუბნის კოლმეურნეობის ვენახები, გავეცანი მოწინავე მევენახეთა მიღწევებს, იქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ვენახების საერთო მასივებმა. მოწყობამ, ვენახების ნიადაგის დამუშავებაში ცხენების გამოყენების პრაქტიკამ და სხვ., რაც წარმატებით დავნერგეთ ჩვენი კოლმეურნეობის საწარმოო ცხოვრებაში.

წილად მხვდა ბედნიერება დამეთვალიერებინა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სექტემბრის პირველ რიცხვებში. ცხადია, როგორც მევენახეს, უწინარეს ყოვლისა მაინტერესებდა მოძმე რესპუბლიკების მოწინავე მევენახეთა შრომითი მიღწევები.

გამოფენაზე გავეცანი მოლდავეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მევენახეობის ბრიგადირის ამხ. ა. მადანის მიღწევებს. 13 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე იგი ყოველწლიურად 200-250 ცენტნერ ყურძენს იღებს. ეს წარმატება მას მოუპოვებია ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსის ზუსტად, თანმიმდევრულად გატარებით. გამოფენაზე მიღებული მდიდარი გამოცდილება დაგვეხმარება უახლოეს ხანში მკვეთრად ავამაღლოთ კოლმეურნეობის ვენახების მოსავლიანობა.

წელს ჩვენი კოლმეურნეობის ვენახები სანმუშოდ არის დამუშავებული. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. თვითეული ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ 80-90 ცენტნერ ყურძენს მოველით. სამშობლოს გეგმით 1.800 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი უნდა ჩავაბაროთ, მაგრამ ყველა პირობა გვაქვს, რომ ეს დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულოთ.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გამოფენის მონაწილე მოწინავე მევენახეთა გამოცდილება ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობაში და ამით მივაღწიოთ ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის მთავარი დარგის — მევენახეობის ახალ აღმავლობას.

ს. ყანჩაველი,
სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახში. (მარჯვნიდან მარცხნივ) კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე დავით მერკვილაძე, აგრონომი მ. ბოკოიძე და ბრიგადირი შ. ბოკოიძე ამოწმებენ ყურძნის მსხმოიარობასა და სიმწიფეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

ახალი პერსპექტივები

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მრავალ დარგს შორის წამყვანი ადგილი მევენახეობას უჭირავს, აქაური ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები მეტად ხელსაყრელია ვაზის კულტურის განვითარებისათვის. აქ უმთავრესად გავრცელებულია სუფრის ღვინის ვაზის ჯიშები ცოლიკოური, კრახუნა, საფერავი და მაღალხარისხოვანი შამპანური მასალის მომცემი ციცქა, მუხრანული, ალიგოტე. ვენახების საერთო ფართობი 4.400 ჰექტარს აღემატება. აქედან კოლმეურნეობებში 2.000-დე ჰექტარია. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაშენდა 100 ჰექტარზე მეტი ვაზი, გათვალისწინებულია შემოდგომით გაშენდეს 50 ჰექტარი, გეგმა კი 30 ჰექტარს ითვალისწინებს. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ შემოდგომით ამინდის ხელსაყრელ პირობებში დარგული ვაზი კარგად ხარობს, საუკეთესოდ ვითარდება. ვენახების მეჩხერიანობა თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია.

მევენახეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით 1955 წლისათვის კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია გაშენდეს 140 ჰექტარი ახალი ვენახი. ამ დავალების განაღდებისათვის მუშაობა უკვე დაწყებულია, ახალი ვენახების გასაშენებლად შერჩეულია ისეთი ფართობები. სადაც შესაძლებელია ფართოდ გამოვიყენოთ მექანიზაცია.

მევენახეობის განვითარებისათვის საჭიროა სარგავი მასალის მტკიცე ბაზის შექმნა. ამ მიზნით წელს სანერგე მოწყობილი გვაქვს 18 ჰექტარ ფართობზე, სადაც არის ერთი მილიონ ექვსასი ათასი ცალი ნამყენი და საკუთარ ძირზე დასაფესვიანებლად 200 ათასი ცალი ციცქის ჯიშის ვაზი. ნერგის გახარების მხრივ არ არის ცუდი მდგომარეობა. წინასწარი შემოწმებით პირველი ხარისხის ნერგის გამოსავლიანობა 50 პროცენტამდე იქნება. ვაზის სანერგეს კარგად უვლიან სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის, სოფელ პირველი სვირის სტალინის სახელობის და მალენკოვის სახელობის, სოფელ ქვედა საქარის სტალინის სახელობის, სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

მევენახეობაში წარმატების მოპოვებას დიდად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი რაიონი რამდენიმე წელია ეჯიბრება გურჯაანის რაიონს. ამ ნიადაგზე ყოველწლიურად რაიონი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. 1953 წელს მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა ურწყავი ვენახების თვითეულ ჰექტარზე 53 ცენტნერი ყურძენია მიღებული. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა ათასობით ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ვაზის ძლიერმა დატვირთვამ მაღალ აგროტექნიკურ ფონზე, დამატებითმა გამოკვებამ. ვენახების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებამ შექმნეს პირობა მოსავლიანობის გადიდებისათვის. ზესტაფონელები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს ჰექტარზე საშუალოდ 65-70 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. მალე რთველი გაჩაღდება. ამოცანა ის არის, რომ თავის დროზე ავიღოთ და გადავამუშავოთ ყურძენი.

ჩვენ, სპეციალისტები, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დახმარებას კოლმეურნეობებისადმი, რათა მათ სანიმუშოდ შეასრულონ აგროტექნიკის მოთხოვნები და გამარჯვებული გამოვიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მ. ცერცვაძე,
ზესტაფონის მტს-ის მთავარი აგრონომი.

★ ★

მოწინავე აგროტექნიკის საფუძველზე

ორგვეთის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. კ. კაპანაძე) შარშან ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 74 ცენტნერამდე ყურძენი მიიღო. ამ წარმატებამ მეურნეობის კოლექტივი ახალი შრომითი მაჩვენებლებისათვის აღაფრთოვანა. ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას იგი გასული წლის რთვლის დამთავრებისთანავე შეუდგა. მოცემულ კალენდარულ ვადებში და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად დაცვით ჩატარდა ვენახების საშემოდგომო-საზამთრო და საგაზაფხულო დამუშავება.

ვენახების საშემოდგომო ხვნას წინ უძღოდა ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა და ღრმად ჩახვნა. ვაზის ძირების გამობარვა და გამოთხრა 25 დეკემბრამდე დავამთავრეთ. ამავე პერიოდში განვახორციელეთ ვაზის შტამბის გაწმენდა, რაც მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებაა.

15 თებერვლიდან დავიწყეთ ვენახების საგაზაფხულო ხვნა, რის პარალელურად მიმდინარეობდა ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა. მოვაწყეთ მეორე თოხნა.

15 მარტამდე ვაზის გაწმენდილ შტამბზე ჩავატარეთ ნავთკირის ემულსიის წასმა. საერთოდ მეურნეობის ვენახებში შესრულდა: ორჯერ ხვნა, ერთხელ რიგებში ბარვა, ოთხჯერ რიგებში თოხნა, შვიდჯერ კულტივაცია, მწვანე ოპერაციები, ხუთჯერ ბორდოს ხსნარით წამლობა, სამჯერ გოგირდის შეფრქვევა.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მიზნით 1954 წელს ვენახებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებანი: ვაზის ხელოვნური დამტვერვა (ერთ ჰექტარზე), ყვავილმცვენ ჯიშებზე ყვავილობის პერიოდში ყლორტების წვეროების წაწყვეტა (30 ჰექტარზე), ვაზის დამატებითი გამოკვება აზოტოვანი სასუქით ნიადაგის ღრმად დამუშავებასთან ერთად (1,5 ჰექტარზე), ლაღად მოზარდ ვაზის ყლორტების თავების გადაპრა ადრე გაზაფხულზე (2 ჰექტარზე).

ვაზის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით პირველი, მეორე და მეხუთე წამლობის დროს გამოვიყენეთ ნიკოტინის სულფატი ბორდოს ხსნართან შერევით და შეავფრქვეთ დდტ-დუსტი.

ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მეურნეობის ვენახები კარგად გამოიყურება. ყურძნის უხვ მოსავალს მოველით.

პირველი ბრიგადის ბრიგადირს დ. ლელაძეს ვალდებულება აქვს აღებული მოსავლელად მიჩენილი 25 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 96 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 72 ცენტნერისა. დ. ლელაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ბრიგადის ბრიგადირი ლენინის ორდენოსანი ა. ხოხიაშვილი. ამ უკანასკნელმა გამოწვევა მიიღო და თავის მხრივ ვალდებულება იკისრა 25,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 92 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან მერგოლურები ლ. აბაშიძე, პ. ლანჩავა, ლ. კიკნაველიძე. მათი ვალდებულებაა წელს ჰექტარზე სახელმწიფოს ჩაბარონ 140-155 ცენტნერი ყურძენი.

მეურნეობის მუშები და აგროპერსონალი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 80 ცენტნერი ყურძენი და ამით გაიმარჯვონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მუკუზნის საბჭოთა მეურნეობასთან.

ს. ალავიძე,
არგვეთის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი.

გამოვიყენეგთ მდიდარ გამოცდილებას

განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებთ თვალყურს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მუშაობას. ჩვენ მასთან შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული.

ბრიგადის 22 ჰექტარ ვენახს გულდასმით ვუვლით. ყველა კოლმეურნე დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიყვანოს. წლევანდელი მოსავლისათვის ბრძოლა შარშან შემოდგომიდანვე დავიწყეთ, ვენახის მთელი ფართობი რიგთა შორის კარგად დავამუშავეთ. შევისწავლეთ მცენარის მოთხოვნილება, ამის მიხედვით გავაძლიერეთ მოვლა და სასუქების შეტანა დოზების დაცვით.

აგროტექნიკის მოთხოვნათა განხორციელებით შარშან მსხმოიარე 10,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 74,5 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 53,5 ცენტნერისა. ამან უფრო აღგვაფრთოვანა შემოქმედებითს შრომაში და წელს უკეთეს მსხმოიარობას მივაღწიეთ. შევამოწმეთ თვითეული ძირი ვაზი და უკვე მალე დავიწყებთ კრეფას. დარწმუნებული ვართ, რომ თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 90-100 ცენტნერ ყურძენს.

ყოველმხრივ მზად ვართ რთვლის დასაწყებად. აღსანიშნავია მერგოლური შ. გიორგაძის

მუშაობა. მან ისე მოუარა 4 ჰექტარ ვენახს, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს სულ მცირე 80 ცენტნერ ყურძენს. ასეთივე მაჩვენებელი ექნება მერგოლურ გ. ედიბერიძეს. ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ მოწინავე კოლმეურნეებს ვ. ჯუღელს, შოთა და დავით გიორგაძეებს, ზურაბ და ლიო ღვანიძეებს.

უფრო ღრმად შევისწავლით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, გამოვიყენებთ მას პრაქტიკულ მუშაობაში და მივაღწევთ ახალ წარმატებებს.

ს. ღვანიძე,
სოფელ სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი.

მოსავლიანობის გადიდების გზები

მევენახეობა შემოსავლის ძირითადი წყაროა ჩვენს კოლმეურნეობაში. ამიტომაც კოლმეურნეები უდიდესი გულმოდგინეობით უვლიან ვაზს, თავდადებით იბრძვიან ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

პირადად მე ვმუშაობ მევენახეობის მეხუთე ბრიგადის პირველ რგოლში. ვუვლი 0,5 ჰექტარ ვენახს. ამ ფართობზე გაშენებულია ცოლიკოური, ციცქა და დონდღლაბის ჯიშების ვაზი. მიუხედავად იმისა, რომ ვენახის ცალკეულ რიგებში ვაზის მეჩხერიანობაა, ამ პატარა ფართობზე მაინც ვიღებ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას. მაგალითად, შარშან 0,5 ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოკრიფე. გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ თუ ყველა კოლმეურნე მონდომებით იმუშავებს და ვაზის მოვლაში მტკიცედ დაიცავს აგროწესებს, მაღალ მოსავალსაც მიიღებს.

გასული წლიდან დავიწყე და წელსაც განვაგრძობდი მუშაობას ვენახში შემორჩენილი სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ. ამ მიზნით გადავწყვიტე ვაზები, ხოლო ზოგან ახალი ჩაგუმატებამრიგად, დავიწყე მთელი რიგების ახალი ვაზით შევსება. ცხადია, ამ ღონისძიებით კარგი შედეგიც მივიღე, სიმეჩხრე თანდათან მოვსპე. ამ მუშაობას მომაჯ�-ზეც განვაგრძობ.

ვენახის ნაწილში გაბმულია ოთხი წვერი მავთული. ვაზი გადაყვანილი მაქვს ორსართულიან შპალერზე. კვირტების რაოდენობა 40-მდე გავზარდე. ამრიგად, თვითეული ძირი ვაზის დატვირთვა თითქმის ერთიორად გავადიდე. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ფართობში ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივად გამოყენებას. ეს მორჩილ საქარის საცდელი სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა.

ცნობილია, რომ ყურძნის მაღალი მოსავლიანობის ძირითადი პირობებია აგრეთვე ნიადაგის აგროწესების მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავება და სისტემატური გაფხვიერება, მწვანე ოპერაციების თავის დროზე შესრულება, ბორდოს სითხით წამლობა და გოგირდის შეფრქვევა. ყველაფერი დაწვრილებით რომ არ ჩამოვთვალო, მოკლედ ვიტყვი: მევენახეობაში მთელ ჩემს მუშაობას საფუძვლად დავუდე ამ ღონისძიებათა მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში განხორციელება.

თუ შარშან ნახევარ ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მივიღე, წელს ვფარუდობ ამავე ფართობზე 25 ცენტნერით მეტი ყურძენი მოვიყვანო.

ი. ფაქაძე,
სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ზესტაფონელ მევენახეებთან

ამ დღეებში, საითაც გაიხედავთ, ყველგან ნამდვილი შრომითი ენთუზიაზმია. კოლმეურნეები ემზადებიან რთვლისათვის, ყურძნის ბარაქიანი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

ვაზის კულტურა ოდითვე შეჰყვარებია ამ რაიონის გლეხკაცობას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკის მევენახეობის განვითარებაში ზესტაფონის რაიონს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. საკოლმეურნეო ზვრებისა და საბჭოთა მეურნეობების ხუთი ათას ჰექტარამდე ვენახი გადაშმუილა თვალწარმტაც ფერდობებსა და მოვაკებულ ადგილებზე.

ვაზი დიდი შრომატევადი კულტურაა. იგი მოითხოვს სათუთ მოპყრობას, ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას და მზრუნველ ყურადღებას. რა სასიხარულოა, რომ კოლმეურნეთა მადლიან მარჯვენას თითქმის არაფერი დაუკლია ვაზისათვის, სერიოზული შრომა გაუწევია ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

რაიონში ბევრია მოწინავე კოლმეურნეობა და კოლმეურნე, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან გაითქვეს სახელი როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებმა. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. მან გასულ წელს 38 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 72 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, ხოლო იმ ბრიგადამ, რომელსაც შალვა გოგოლიძე უდგას სათავეში, ჰექტარზე საშუალოდ 78,5 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კოლმეურნეობამ ამ წარმატების შედეგად მოიპოვა უფლება გამხდარიყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ფართო ჩვენებით. ალავერდელები მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან, წელს უკეთესად დაამუშავეს ვენახები და შედეგსაც შარშანდელზე მეტს ელიან.

— რა მაღალი მოსავალიც უნდა მივიღოთ წელს, მაინც საკვეხნი არაფერი გვექნება, — შენიშნა საუბარში ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ყანჩაველმა.

— რატომ?

— ჰექტარზე ასი ცენტნერის მოღებაც ვერ დაგვამშვიდებს, — განაგრძო მან. — ახლახან დავბრუნდი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან. იქ გავეცანი მოლდავეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მევენახის ბრიგადირ ამხ. ა. მადანის მაჩვენებლებს. მას მოსავლელად მიჩენილი ჰქონია 13 ჰექტარი ვენახი. და იცით ჰექტარზე რამდენი მიუღია? საშუალოდ 200-250 ცენტნერი. მარტო შარშან კი არა, ყოველწლიურად ადიდებს ყურძნის მოსავალსო, გადმოგვცეს მოლდაველებმა. მიზნად დავისახეთ ამ მოწინავე მევენახის გამოცდილების გამოყენებით მომავალ წელს მკვეთრად გავადიდოთ ჩვენი ვენახების მოსავლიანობაც.

ალავერდის კოლმეურნეობის ვენახების ერთ ნაკვეთში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხის სარზე მიკრულმა პატარა ფიცარმა წარწერით:

„ბრიგადა № 2, რგოლი № 3, 1954 წ.
1) კვანტრიშვილი ვედია გიორგის-ძე. ვენახი „ბიის ტყე“ — ზომა-0,45 ჰექტ., უნდა მოიყვანოს საშუალოდ 1 ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი, 0,45 ჰექტარზე — 54 ცენტნერი“.

გადმოგვცეს: კვანტრიშვილმა შარშანვე გაითქვა სახელი როგორც ნოვატორმა მევენახე კოლმეურნემ. მაგრამ წელს კიდევ უკეთესად დაამუშავა მოსავლელად მიჩენილი ვენახი. მართლაც, მნახველს ახარებს საგულდაგულოდ მოვლილი ვაზის მსხმოიარობა. მიუხედავად დიდი გვალვისა, რის შედეგადაც ამ ნაკვეთის მეზობელ ფართობებში ნიადაგი დაშაშრულია, კვანტრიშვილს განსაკუთრებული ღონისძიებები განუხორციელებია, რომ ვაზის ძირებში ნიადაგი მუდმივ ოხვიერ მდგომარეობაში ჰქონოდა, ყურძნის ზრდა-განვითარებისათვის ხელი არაფერს შეშალა. იგი ნაკისრ ვალდებულებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულებს.

მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა მევენახეობის სხვა რგოლებშიც გამოიყენებინათ კვანტრიშვილის გამოცდილება და მთელ ფართობზე მიეღოთ ყურძნის უხვი მოსავალი? ამ კითხვაზე ადგილობრივ ამხანაგებს ჯერჯერობით უძნელდებათ დამაჯერებელი პასუხის გაცემა.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ მეორე მაგალითიც.

ზესტაფონის რაიონში ყურძნის უხვმოსავლიანობით განთქმულია სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაც. ამ კოლმეურნეობაში შარშან ყურძნის ბარაქიანი მოსავალი მიიღეს. ცალკეულმა ბრიგადებმა ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. წელსაც ცუდად რიდი გამოიყურება სვირელ კოლმეურნეთა ზვრები. აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო № 5 ბრიგადის პირველი რგოლის მოწინავის ორდენოსანი კოლმეურნის იოველ წაქაძისათვის მოსავლელად მიჩენილმა 0.5 ჰექტარმა ვენახმა. მართლაც ჩინებულად არის დამუშავებული. ამ ნაკვეთში ცოლიკოურის, ციცქის და დონდღლაბის ჯიშების ვაზია. ვენახის ნაწილი გადაყვანილია ორსართულიან შპალერზე ოთხ ტოლად. შარშან წაქაძემ ამ ფართობზე მიიღო 150 ცენტნერი ყურძენი, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 300 ცენტნერს უდრის. წელს უფრო მეტს მოელიან. თვითონ იოველი, და ამას სპეციალისტებიც ადასტურებენ, ვარაუდობს ამ ნახევარ ჰექტარ ვენახში 175 ცენტნერი ყურძენი მაინც მოკრიფოს. ეს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მართლაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მევენახეობაში. ჰექტარზე 300 ცენტნერი ყურძენი! — აი რას გვასწავლის პრაქტიკოსი მევენახის იოველ წაქაძის გამოცდილება.

მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოცდილება არათუ სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, არამედ ამავე კოლმეურნეობის № 5 ბრიგადასაც არ გასცოლებია. კარგია მოსკოვში, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოთეზნაზე წასვლა, იქ წარმოდგენილ მოწინავე მევენახეთა გამოცდილების შესწავლა და გადმოტანა, მაგრამ რატომ უნდა უგულებელვყოთ თვით ადგილობრივ ნოვატორთა მდიდარი და მეტად საყურადღებო გამოცდილების გავრცელება რაიონში და თუნდაც მთელ რესპუბლიკაში?

პირდაპირ უნდა ითქვას, კვანტრიშვილის, წაქაძის და სხვა მოწინავე მევენახეთა გამოცდილების გავრცელებას რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდა, მათი მეთოდებით მუშაობა სხვა კოლმეურნეობებშიც ფართოდ რომ დანერგილიყო, მაშინ ვენახები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში გვექნებოდა და წელს ყურძნის უფრო დიდ მოსავალსაც მივიღებდით. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი დაინტერესდებიან მევენახე ნოვატორთა საყურადღებო გამოცდილების შესწავლით და საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ მათი მეთოდების გადასატანად მევენახეობის ყველა რაიონსა და კოლმეურნეობაში.

ზესტაფონის რაიონში მევენახეობის განვითარების დიდი პერსპექტივებია. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები სეროზულ ღონისძიებებს ახორციელებენ ამ მიმართულებით. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე რაიონში გაშენდა 100,4 ჰექტარი ახალი ვენახი, მომზადებული აქვთ ნიადაგი და ამ შემოდგომაზე დამატებით გააშენებენ 50 ჰექტარ ახალ ვენახს.

საკითხს მარტო ახალი ვენახების გაშენება როდი წყვეტს. მთავარია მათი წესიერი მოვლა-პატრონობა. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მართლაც თვალსაჩინივით უვლიან ვენახებს, განუხრელად ახორციელებენ აგროღონისძიებებს და შედეგსაც კარგს აღწევენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეში სერიოზული წარმატებები აქვთ ალავერდის და მეორე სვირის კოლმეურნეობებს. კარგი მაჩვენებლებით ხასიათდებიან აგრეთვე სოფელ ტაბაკინის შვერნიკის სახელობის, ცხრაწყაროს მარქსის სახელობის, კლდეეთის შვერნიკის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. მიუხედავად ვგვალვიანი ამინდებისა, ზესტაფონელმა მევენახეებმა შეძლეს ურწყავი ნაკვეთების დიდ მასივებზე შეექმნათ პირობები ყურძნის ბარაქიანი მოსავლის მისაღებად.

ჯერ რთველი მასობრივად არ დაწყებულა, მაგრამ იქ, სადაც უკვე მოკრიფეს ყურძენი, გამოსავალი იმდენად კარგია, რომ რაიონი ვენახების მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 65-70 ცენტნერ ყურძენს მიიღებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 56 ცენტნერისა.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში ზესტაფონელ მევენახეებს ქმედით დახმარებას უწევს საქარის მევენახეობა-მეღვინეობის ზონალური საცდელი სადგური (დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გიგინეიშვილი). ამ სადგურმა აგროტექნიკის ხაზით მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. მეცნიერული დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ ზესტაფონის რაიონში, ისევე როგორც მევენახეობის სხვა რაიონებში, შესაძლებელია ვაზის დატვირთვა აყვანილ იქნას საშუალოდ 40 კვირტამდე, ნაცვლად წარმოებაში მიღებული ვაზის 20 კვირტის დატოვებისა. ეს ღონისძიება თითქმის ერთიორად ზრდის ყურძნის მოსავალს, რაც დამტკიცებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მისი დანერგვის შედეგად. ზონალური საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკები ახლა მუშაობენ დასავლეთ საქართველოს მთაგორიან პირობებში მევენახეობაში მექანიზაციის გამოყენების პრობლემაზე. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მევენახეობის შემდგომ მძლავრ განვითარებას და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას.

რაიონის მევენახეები რთველს მომზადებული შეხვდნენ. თავის დროზე შეაკეთეს ავტოტრანსპორტი და ურმები, საჭირო რაოდენობით დაამზადეს ძარები, გოდრები, შეაკეთეს ვენახებში მისასვლელი გზები და ხიდ-ბოგირები. ყურძნის მკრეფავთა შორის ჩატარებულია სათანადო მუშაობა. პარტიის რაიკომის მიერ შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია რთვლის მთელ პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკოლმეურნეო ზვრებში გადატანა. ამ მიზნით მოეწყობა საველე აგიტპუნქტები, მოძრავი სამკითხველოები, ბრიგადებში გამოვა საველე კედლის გაზეთები.

დიდი პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან რაიონის ყურძნის მიმღებგადამამუშავებელი საწარმოები. როგორც ცნობილია, ზესტაფონის რაიონი ძირითადად შამპანური ღვინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს იძლევა. მოკრეფილი ყურძნის ხარისხის დასაცავად ახლო მანძილზე უნდა იყოს პირველადი მეღვინეობის ქარხანა ყურძნის გადასამუშავებლად. ჯერჯერობით კი ეს არ არის. სინამდვილეში საქართველოს შამპანკომბინატის № 1 ღვინის ქარხნის პირველადი მეღვინეობის პუნქტი ზოგიერთ კოლმეურნეობას 20-25 კილომეტრით არის დაშორებული. გასაგებია, რომ ასეთ მანძილზე ყურძნის გადატანა გამოიწვევს მისი ხარისხის დაცემას და საგრძნობ დანაკარგსაც. აქ ახლა ამბობენ, განზრახულია ზესტაფონის ღვინის ქარხნის სამოქმედო ზონაში მოეწყოს პირველადი მეღვინეობის ორი ქარხანა (მარანი) — კლდეეთისა და დილიკაურის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზეო. ეს კარგი სურვილია, მაგრამ მარტო სურვილი საქმის ვერ უშველის. საჭიროა მას ხორცი შეესხას.

რაიონში ვენახების ფართობი წლითიწლობით დიდდება, შამპანკომბინატის პირველადი მეღვინეობის საწარმოები კი არ იზრდება. განა დრო არ არის, რომ ამ საკითხის მოგვარებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს! თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ზესტაფონის ღვინის ქარხნის არსებული ტექნიკური ბაზა ახლაც ძლივს აკმაყოფილებს მეღვინეობის მზარდ მოთხოვნილებას, საჭირო ხდება მთელი სერიოზულობით დაისვას საკითხი მისი გაფართოებისა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის შესახებ.

დადგა გადამწყვეტი დღეები მევენახეობაში. დაიწყო რთველი, რაც დღითიდღე უფრო გაჩაღდება. ზესტაფონელ კოლმეურნეთა გადწყვეტილებაა შემჭიდროებულ აგროტექნიკურ

ახალი სასწავლო წლის წინ

ტყიბულის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ. ამავე საკითხზე იმსჯელეს შახტების, კოლმეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროპაგანდისტთა შემადგენლობის გაუმჯობესებას. რამდენიმე პროპაგანდისტმა კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ ერთთვიან რესპუბლიკურ კურსებზე. წელს საგრძნობლად იზრდება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტთა რიცხვი.

გაითვალისწინა რა გასული წლის გაკვეთილები, ქალაქის ბევრი პარტიული ორგანიზაცია უფრო ყურადღებით მოეკიდა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებას.

ამასთან პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში ნაკლოვანებებიც არის. ივნისში სტალინის სახელობის შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა გამოთქვეს სურვილი პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილიყო წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი წრე. კრებამ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ დადგენილება დადგენილებად დარჩა, ხოლო კომუნისტთა სურვილი — სურვილად. ამავე პარტიულ ორგანიზაციაში ვხვდებით წრეებში კომუნისტთა გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევის სხვა ფაქტებსაც. სამთო ინჟინერი კომუნისტი ო. ბოჭორიშვილი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთ მოწინავე პროპაგანდისტად ითვლებოდა, წელს პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხების შემსწავლელ სემინარში ჩარიცხეს. ო. ბოჭორიშვილს კი სურვილი აქვს დამოუკიდებლად იმუშაოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შესასწავლად.

ქალაქის ზოგიერთი პარტორგანიზაციის მდივნებმა დღემდე არ იციან, რომელ წრეში ჩაირიცხებიან კომუნისტები და ვინ იქნება პროპაგანდისტი. მაგალითად, 9 სექტემბერს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. ყიფიანმა განაცხადა: ერთი თვის წინათ რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილებაში წარვადგინე კომუნისტთა სახელობითი სია, თუ ვის სწავლებს რა ფორმაში სურს გაერთიანება, მაგრამ დღემდე ჩემთვის არ უთქვამთ, დაკმაყოფილებულია თუ არა მათი სურვილიო(!). ასევე აცხადებენ ტყიბულშახტმშენისა და ტყიბულქვანახშირის ტრესტებთან არსებული პარტიული ორგანიზაციების მდივნები გ. ქათამაძე და დ. ნიკოლეიშვილი.

რაიკომის ლექტორთა ჯგუფმა ნაცვლად გაძლიერებისა ლექციური პროპაგანდა შეასუსტა. 18 ივლისიდან ლექტორთა ჯგუფის წევრებს არც ერთი ახალი ლექცია არ მოუმზადებიათ. არის ლექციების ჩაშლის შემთხვევებიც. მაგალითად. აგვისტოში გიგმით ლექტორთა ჯგუფს უნდა მოეწყო 25 ლექცია. აქედან მხოლოდ 6 ლექციაა წაკითხული. განსაკუთრებით მოისუსტებს კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართული ლექციური პროპაგანდა. დღემდე არც ერთი ლექცია არ წაუკითხავთ ანტირელიგიურ თემაზე, ლოთობის საწინააღმდეგოდ და სხვ.

მეშახტეთა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი და შექმნან საჭირო პირობები პარტიული პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებლად.

ვ. ცირკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარზე წაკითხულ და განხილულ იქნა მოხსენებანი შემდეგ თემებზე: „ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით სასკოლო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, „საბჭოთა სკოლის როლი ახალგაზრდობის მორალური სახის ჩამოყალიბების საქმეში“, „სასკოლო ორგანიზაციების ღონისძიებანი მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისა და შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეში“, „სკოლა და ოჯახი“, „სასკოლო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ფორმები და მეთოდები“.

სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები მოაწყეს აგრეთვე პარტიის საჩხერისა და ზაამის რაიკომებმა.

პარჯიული სკოლების მუშაკთა თანამეგობრობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი პარტიული სკოლის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები საექსკურსიოდ იყვნენ სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში — ერევანში.

ექსკურსანტები გაეცნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მუშაობას, ამასთან ერთად სკოლის მუშაკებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. შემდეგ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონუმენტები ერევანში, სომხეთის სსრ მთავრობის სასახლე, ფილარმონიის შენობა, ქალაქის ისტორიული ადგილები, იყვნენ აგრეთვე სევანის ტბაზე.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი ახალ სეზონში

(საუბარი თეატრის დირექტორთან რესპუბლიკის სახალხო არტისტ დ. ანთაძისთან)

გასული თეატრალური სეზონი ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დაამთავრა საზაფხულო საგასტროლო მოგზაურობით ქუთაისსა და სოხუმში. გარდა ამისა, თეატრმა საგასტროლო რეპერტუარის საუკეთესო დადგმები უჩვენა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ლაჯანურისა და გუმათის ჰესების მშენებლებს. გასულითი პარალელური სპექტაკლები გამართა წყალტუბოში, გაგრაში, გუდაუთში, ახალ ათონში, აგრეთვე ტყვარჩელის მეშახტეთათვის.

გასტროლების დროს (26 ივნისიდან 1 აგვისტომდე) თეატრმა გამართა 63 სპექტაკლი, რომლებშაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

დღეს ვხსნით ახალ სეზონს გრიბოედოვის უკვდავი პიესით „ვაი ჭკუისაგან“, რომლის დადგმა თეატრმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში განახორციელა — თეატრის არსებობის 20 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ამჟამად თეატრი დასადგმელად ამზადებს და უახლოეს ხანში მაყურებელს უჩვენებს სპექტაკლს „პორტ-არტური“ (სტეპანოვის რომანის მიხედვით).

სპექტაკლს დგამს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, მხატვრულად აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი.

სეზონის პირველი ნახევრის სხვა ახალ დადგმათა შორის განზრახული გვაქვს მ. ლერმონტოვის „მასკარადი“ და მ. ბარათაშვილის „მაღალი ოცნება“.

გარდა ახალი დადგმებისა მიმდინარე სეზონის რეპერტუარში შეტანილი გვაქვს თეატრის ძველი დადგმები, მათ შორის: გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, სიმონოვის „ერთი სიყვარულის ისტორია“, მინკოს „გვარის დაუსახელებლად“, დარასელის „კიკვიძე“, ჩეხოვის „თოლია“, ლოპე დე-ვეგას „თივა და ავი ძაღლი“, იანოვსკის „პროკურორის ქალიშვილი“, კორნეიჩუკის „ძახელის ჭალა“ და სხვ.

თეატრის დასი ახალი ძალებით შეივსო. მიღებული არიან ახალგაზრდა მსახიობები ა. მაკაროვა, ნ. პლოტნიკოვა, ა. ბონდარენკო. თეატრის მოწვევით ცალკეულ დადგმებს განახორციელებს რეჟისორი ლ. ვარპახოვსკი.

ისევე როგორც შარშან, შემუშავებულია საშეფო მუშაობის ფართო გეგმა კრწანისის საბჭოთა მეურნეობისა და თეთრი წყაროს რაიონის კულტურული მომსახურებისათვის.

ნ. ოსტროვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა

23 სექტემბერს ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატში პლეხანოვის სახელობის კლუბის ბიბლიოთეკასთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ გამართა ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნის აღსანიშნავი ლიტერატურული დილა.

დილა გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ფ. ჭოლოკავამ.

ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პოემა ვახტანგ გორგაძემ.

ლექსები წაიკითხეს ლიტერატურული წრის წევრებმა ი. ნაზარბეგოვმა, თ. დოლიძემ, ე. თავბერიძემ, დ. ბედენაშვილმა და კ. აბაშიძემ.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე

პეკინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პეკინში მუშაობას განაგრძობდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯოუ ენ-ლაიმ, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

თავისი მოხსენების დასაწყისში ჯოუ ენ-ლაი შეეხო იმ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია სახალხო ხელისუფლების წლებში ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში.

ჩვენ მშვიდობიან შრომას ვეწევით, განაცხადა ჯოუ ენ-ლაიმ, ხოლო ამისათვის საჭიროა მშვიდობიანი ვითარება, საჭიროა მშვიდობა მთელ მსოფლიოში. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობიან პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობაში.

განსაკუთრებით შეეხო რა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთდამოკიდებულებას, ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უდიდეს და ყოველმხრივ მატერიალურ, ფინანსურ და სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას უწევს ჩინელ ხალხს ეკონომიური მშენებლობის განხორციელებაში. გულწრფელი თანამშრომლობა ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის, თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, წარმოადგენს სულ უფრო მზარდ ძალას შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ის ფაქტი, რომ ამ მეგობრობის შესახებ ჩაწერილია ჩვენი კონსტიტუციის შესავალში, იმას მოწმობს, რომ ეს მეგობრობა საუდამო და ურღვევია.

შეეხო რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურთიერთობას, ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობას ახასიათებს დღითიდღე მზარდი და მტკიცე თანამშრომლობა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის მხრივ.

მტკიცდება და ვითარდება ჩინეთის მეგობრული ურთიერთობა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ილაპარაკა რა იმის შესახებ, რომ გასული ხუთი წლის მანძილზე ჩინელი ხალხი თავის დიდ მოკავშირესთან — საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო ერთიანობით შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის, აღრესიისა და ომის წინააღმდეგ, ჯოუ ენ-ლაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მოძმე სახელმწიფოს ერთიანობამ და თანამშრომლობამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით საერთაშორისო ვითარებაში შეიტანა დიდი ცვლილებები, რომლებიც ემსახურება მშვიდობის ძალებს და არ ემსახურება აგრესიის ძალებს. ჩვენ, აღნიშნა ჯოუ ენ-ლაიმ, კვლავაც განვავითარებთ ერთიანობისა და თანამშრომლობის ამ ურთიერთობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის ძალების შემდგომი განმტკიცების მიზნით.

ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ჩინეთი ამყარებს თავის ურთიერთობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობის, ურთიერთ სარგებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე. აზორციელებს რა ამ პრინციპებს, ჩინეთი მზად არის დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა ყველა სხვა ქვეყანასთან, რომლებიც აგრეთვე გულწრფელად ესწრაფვიან ამას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, თქვა შემდეგ ჯოუ ენ-ლაიმ, დიდ ყურადღებას აქცევს ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას, რამდენადაც ეს ხელს უწყობს დაინტერესებული ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ურთიერთგაგების გაძლიერებას და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის პირობების შექმნას.

ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ აგრესიული დაჯგუფება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, კვლავ მტრულად ეკიდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ხელს უშლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დაახასიათა რა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ხელმოწერილი ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ, ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ეს კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკია, რომელიც არა მარტო საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გადდგილებას აზიის ქვეყნების მიმართ. მომდინარე წლის 14 სექტემბერს, თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ საკითხზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ სამხედრო ბლოკის ინიციატორი სახელმწიფოები მთლიანად პასუხისმგებელი ირიან თავიანთი მოქმედებისათვის, რომელიც სერიოზულად არღვევს მშვიდობის განმტკიცების ამოცანას. ეს განცხადება, ამბობს ჯოუ ენ-ლაი, მთლიანად შეესაბამება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის აზრს. აღნიშნა რა, რომ აზიის უმნიშვნელოვანესმა ქვეყნებმა, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია და ბირმა, უარი თქვეს მანილის თათბირში მონაწილეობაზე, ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ამ ქვეყნების პოზიციას და მტკიცე პროტესტს გამოთქვამს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ბლოკის შექმნის წინააღმდეგ.

ჩვენი საქმე — სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნების საქმე,— თქვა დასასრულ ჯოუ ენ-ლაიმ, — სამართლიანი საქმეა. ტაივანის განთავისუფლების, ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ჩვენი საქმეც სამართლიანი საქმეა.

ჯოუ ენ-ლაის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ დეპუტატები ჩენ იუნი და გო მო-ჟო.

ჩინელ სახალხო მოხალისეთა ევაკუაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან

ფხენიანი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი სინიიჯუდან იუწყება, ამ ქალაქზე გავლით კვლავ მიდიან ჩინეთის სახალხო მოხალისეთა ევაკუირებული ნაწილები. 20 სექტემბერს ჩინეთის სახალხო მოხალისეთა სარდლობამ კორეიდან დაიწყო მძიმე შეიარაღების, ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების გაზიდვა.

ჩინეთის სახალხო მოხალისეთა ნაწილების ევაკუაციას მუდმივ მეთვალყურეობას უწევენ ნეიტრალური კომისიის საინსპექციო ჯგუფების წევრები. კომისიის შემადგენლობაში შედიან შვეიცარიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლები. შედეგები შემოწმებისა, რასაც საინსპექციო ჯგუფების წევრები აწყობენ, სავსებით ემთხვევა კორეა-ჩინეთის მხარის წინასწარ მოხსენებებს. საინსპექციო ჯგუფების ყველა წევრი ერთსულოვნად გამოთქვამს კორეა-ჩინეთის მხარის მეკავშირე ოფიცრებისადმი მადლობას ყოველმხრივი დახმარებისა და ხელშეწყობისათვის.

ირანული პრესის ცილისმწამებლური კამპანია სსრ კავშირის წინააღმდეგ

თეირანი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილ[illegible] ... ტემბერს სსრ კავშირის ელჩმა ირანში ა. ი. ლავრენტიევმა ინახულა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ენთეზამი და შემდეგი განცხადება გაუკეთა:

„უკანასკნელ დღეებში, ირანის არმიისა და პოლიციის ოფიცრების დაპატიმრებასთან დაკავშირებთან, ირანულ პრესაში იბეჭდება პროვოკაციული ცნობები „დაპატიმრებულთა საიდუმლო ურთიერთობის შესახებ მოსკოვთან“ (გაზეთი „ეთელაათი“, გაზეთი „ქეიხანი“ და სხვ.), ცილისმწამებლური ცნობები საბჭოთა სამხედრო ატაშეს ვენერალ როდიონოვის შესახებ (15 სექტემბრის გაზეთი „ქეიხანი“), მეჯლისის ზოგიერთი დეპუტატის ცილისმწამებლური და მტრული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და, ბოლოს, ირანის ხელისუფალთა სრულიად გაუმართლებელი დისკრიმინაციული ღონისძიება ირანში საბჭოთა ფილმების ჩვენების საქმეში.

ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ირანში დაიწყო მტრული კამპანია სსრ კავშირის მიმართ, რაც ცხადია, მიზნად ისახავს ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირ-ირანის კეთილმეზობლურ ურთიერთობას მესამე ქვეყნების საამებლად.

საელჩო მოელის, რომ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიღებს სსრ კავშირის მიმართ მტრული კამპანიის შეწყვეტის სათანადო ღონისძიებებს და, კერძოდ, მიიღებს საბჭოთა ფილმების მიმართ ირანის ხელისუფალთა დისკრიმინაციული განკარგულების გაუქმების ღონისძიებებს“.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ენთეზამმა აღუთქვა, რომ სსრ კავშირის ელჩის ამ განცხადებას აცნობებს ირანის მთავრობას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ხანოის გადაცემის საკითხი

შანხაი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის შერეული კომისიის ქვეკომისია, რომელიც სწავლობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ხანოის გადაცემის საკითხს, თავის უკანასკნელ სხდომებზე კვლავ განიხილავდა ხანოიში უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფის პრობლემას.

20 სექტემბრის სხდომაზე ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებანი ზემოხსენებულ საკითხზე. საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მხარე ვალდებულებას კისრულობს გადასცეს ვიეტნამის სახალხო არმიის ხანოის რაიონი უშიშროების, წესრიგისა და სრული ნდობის ვითარებაში. საფრანგეთის კავშირის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ დაბრუნებს ქალაქიდან გატანილ ქონებას და აანაზღაურებს ქონების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეულ ზარალს.

საფრანგეთის კავშირის დელეგაციის განცხადების თანახმად, საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისევე როგორც ელექტროსადგური, წყალსაწნები კოშკი და სხვები, გადაეცემა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სავსებით წესიერულ მდგომარეობაში. საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი მიუთითებს ჯარებს შეწყვიტონ სახალხო ქონების დარბევა და დატაცება, აგრეთვე ყოველგვარი შეურაცხყოფელი მოქმედება ხანოის რაიონის მოსახლეობის მიმართ.

ქვეკომისია მუშაობას განაგრძობს.

ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია

ცნობა

მომდინარე წლის 11 აგვისტოს ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ტერიტორიაა. „ტაივანის განთავისუფლება, — თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, — ჩინელი ხალხის საპატიო ისტორიული ამოცანაა“.

ტაივანი ჩინეთის ყველაზე დიდი კუნძულია. ტაივანის ფართობია 35.759 კვადრატული კილომეტრი. კუნძული ჩინეთის კონტინენტური ნაწილისაგან გამოყოფილია სრუტით, რომლის სიგანე ყველაზე ვიწრო ნაწილში 150 კილომეტრს შეადგენს.

ტაივანის ზედაპირის ორი მესამედი მთებს უჭირავს. ბუნების ხელსაყრელი პირობები ხელს უწყობს კუნძულზე მიწათმოქმედებისა და სატყეო მეურნეობის განვითარებას. ტაივანის ბლეხებს მოჰყავთ ბრინჯი, რომლის მოსავალს აქ წელიწადში ორჯერ იღებენ, შაქრის ლერწამი, ბანანი, ანანასი, ციტრუსოვანი კულტურები, ჩაი.

კუნძული მდიდარია მადნეულით. მის წიაღშია ოქრო, სპილენძი, არის ქვანახშირისა და გოგირდის ბუდობები, აგრეთვე ნავთობი.

ტაივანის ჩქარი მდინარეები შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდძალი იაფი ელექტროენერგიის მისაღებად.

კუნძულის მოსახლეობა 7 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს. მათგან 90 პროცენტზე მეტი ჩინელებია, რომლებიც კუნძულზე გადასახლდნენ მრავალი საუკუნის წინათ ფუძიანისა და გუანდუნის პროვინციებიდან.

60 წლის წინათ, იაპონია-ჩინეთის ომის შემდეგ, რომელიც ჩამორჩენილი ჩინეთის დამარცხებით დამთავრდა, ტაივანი ოკუპირებულ იქნა იაპონიის მიერ. იაპონელმა იმპერიალისტებმა კუნძულზე თავიანთი ბატონობა დამყარეს და იგი თავიანთი იმპერიის კოლონიურ დანამატად გადააქციეს. ძირითადად მრეწველობის ის დარგები განვითარდა, რომლებიც დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებასთან.

კუნძულის მცხოვრებლები არასოდეს არ შერიგებიან თავიანთ ბედს, ისინი აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ. კუნძულის ოკუპაციის დაწყებიდან გასული ორმოცდაათი წლის მანძილზე აქ ოცჯერ იფეთქა აჯანყებამ იაპონელთა ბატონობის წინააღმდეგ.

მილიტარისტული იაპონიის განადგურების შემდეგ ტაივანი ჩინეთს დაუბრუნდა. ეს გათვალისწინებული იყო კაიროს და პოტსდამის დეკლარაციებით, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებმაც მოაწერეს ხელი. მაგრამ იაპონის უღლისაგან განთავისუფლებამ გაუმჯობესება ვერ შეიტანა ტაივანის მოსახლეობის ცხოვრებაში. ერთი მჩაგვრელი მეორემ შეცვალა. მცხოვრებთ არავითარი დემოკრატიული უფლება არ მიეღიათ. გომინდანელმა რეაქციონერებმა კუნძულზე ტერორისა და ძალადობის რეჟიმი დაამყარეს. პროგრესული ორგანიზაციები კანონგარეშე გამოაცხადეს. გომინდანელთა საიდუმლო პოლიცია დევნიდა ყველას, ვინც ცნობილი იყო თავისი დემოკრატიული შეხედულებებით.

ტაივანის მშრომელები აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ გომინდანელ რეაქციონერებს. 1947 წლის თებერვლის დამლევს კუნძულზე აჯანყება მოხდა. ტაივანის ცენტრში — ტაიბეიში და სხვა ქალაქებში გაჩაღდა ბრძოლები გომინდანელების წინააღმდეგ. აჯანყებულნი მოითხოვდნენ ტაივანზე დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას, სამოქალაქო ომის შეწყვეტას და ჩინეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანას. გომინდანელებმა ეს აჯანყება ჩაქრეს. ათასობით პატრიოტი დახვრიტეს.

როცა 1949 წელს დიდი ჩინელი ხალხის მრავალი წლის ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის სახელოვანი გამარჯვებით დამთავრდა და გომინდანელთა ხროვა განდევნილ იქნა კონტინენტიდან, ეს ხროვა ტაივანზე გამაგრდა ამერიკელ იმპერიალისტთა მფარველობით.

ჩანკაიშელთა ხროვამ ჯერ კიდევ მანამდე ფაქტიურად მიჰყიდა ტაივანი ამერიკის მონოპოლიებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს კუნძულის მთელი ეკონომიკა, ამერიკელმა კაპიტალისტებმა თავიანთი სრული კონტროლი დააწესეს ნავთობის, ქვანახშირის, ოქროს, გოგირდის, ვოლფრამიისა და სურინჯის მოპოვებაზე. ამერიკის კონცერნი „რეინოლდს მეტალ კომპანი“ ალუმინის ქარხნებს დაეპატრონა, ცემენტის მრეწველობა ამერიკისა და კანადის კაპიტალის კონტროლში მოექცა. ამერიკის კომპანიამ „ვესტინჰაუზ ელექტრიკ ინტერნეიშნლ კომპანიმ“ ხელში ჩაიგდო კუნძულის თითქმის ყველა ელექტროსადგური.

ამერიკის მონოპოლიებმა ჩანთქეს ტაივანის ეკონომიკის წამყვანი დარგიც — შაქრის მრეწველობა.

ამერიკის მონოპოლიები სოფლის მეურნეობაშიც პარპაშებენ. ამერიკელ ბატონთა მოთხოვნით გომინდანელთა ხროვა აიძულებს გლეხებს შეამცირონ ბრინჯის ნათესები და ბრინჯის ნაცვლად გააშენონ შაქრის ლერწამი და ქაფურის ხე.

ტაივანის ეკონომიკაზე თავიანთ ბატონობას ამერიკელი ბიზნესმენები იმისათვის იყენებენ, რომ ჩაწოლილი საქონელი გაასაღონ. გომინდანელთა პრესის ცნობებით, ამერიკელებმა 1950-დან 1954 წლამდე ტაივანზე გაასაღეს 290 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ჩაწოლილი საქონელი, რაც ტაივანის მთელი იმპორტის დაახლოებით 65 პროცენტს შეადგენს.

ტაივანის მოსახლეობა გაჭირვებულ მდგომარეობაშია. 1949 წლის ივნისიდან 1953 წლის ივნისამდე ფასები ტაივანზე საშუალოდ ექვსჯერ გადიდდა. იმ სხვადასხვა გადასახადებისა და გამოსაღების თანხა, რასაც მოსახლეობას ახდევინებენ, უკანასკნელ ოთხ წელიწადში ოცდასამჯერ გადიდდა. მუშათა და გლეხთა ცხოვრების დონე წლითიწლობით დაბლა იწევს.

ამერიკის სამხედრო ხროვამ ტაივანი გადააქცია სამხედრო პლაცდარმად სახალხო ჩინეთზე თავდასხმისათვის, იმ ჯაშუშთა და დივერსანტთა ბუდედ, რომლებსაც ჩინეთში გზავნიან იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ ჩინელ მშრომელთა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად ამბობენ, თუ რისთვის სჭირდებათ ტაივანი. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა — გენერალმა მაკარტურმა 1950 წლის აგვისტოში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ტაივანი მიაჩნიათ წყნარ ოკეანეში ამერიკის ფრონტის „ცენტრად“, „დაუძირავ ავიოსად“ და რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონტროლი უნდა დააწესონ ტაივანზე, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ უზრუნველყონ „თავიანთი ავიაციის ბატონობა აზიის ყველა ნავსადგურზე ვლადივოსტოკიდან სინგაპურამდე“.

არანაკლებ ცინიკური განცხადება გააკეთა ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ რობერტსონმა. კონგრესის ერთ-ერთ კომისიაში რობერტსონმა თქვა, რომ კუნძული ტაივანი შეერთებულ შტატებს იმისათვის სჭირდებათ, რომ „მუდამ ემუქრებოდნენ საომარი მოქმედებით წითელ ჩინეთს...“

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრებამ ხელი შეუწყო შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მაგრამ ეს შენელება სულაც არ შეესაბამება მშვიდობის ამერიკელ მოწინააღმდეგეთა განზრახვას. ისინი აძლიერებენ თავიანთ ზრიკებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამერიკის სამხედრო ხროვის აგრესიულ ზრახვებში მცირე ადგილი როდი უჭირავს გამყიდველ ჩან კაი-შის ხროვას, რომელთანაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს დადონ „ურთიერთ თავდაცვის პაქტი“. ეს ღონისძიება ამერიკის შეერთებულ შტატებს იმისათვის ესაჭიროებათ, რომ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს „კანონიერად“ ჩაიგდეს ხელში ტაივანი.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააძლიერეს თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალები ტაივანის სრუტეში, ერთიორად გაადიდეს ისინი. ტაივანზე ამერიკელი ინსტრუქტორები წერთნიან გომინდანელთა ბანდებს. ამერიკის შეერთებული შტატები გომინდანელ ვაი-მეიმრელს აწვდიან რეაქტიულ თვითმფრინავებს, საომარ მასალებს, სამხედრო საჭურველს. სინხუას სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამას წინათ გადაწყვიტეს ტაივანზე გაგზავნონ 80 მილიონი დოლარის სამხედრო საჭურველი და საომარი მასალები, რომლებიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო ინდოჩინეთისათვის.

აძლიერებენ რა სამხ

ღიკვიდირებულ იქნან ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა გერმანიაში ამხ. გ. მ. პუშკინმა 23 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს კომისარს გერმანიაში კონენტს გაუგზავნა წერილი, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადმომცა მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს მრავალი ფაქტი ძირგამომთხრელი მუშაობისა, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ეწევიან დასავლეთ ბერლინსა და დასავლეთ გერმანიაში არსებული ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები.

როგორც მასალები ცხადყოფენ, უკანასკნელ დროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეპყრობილ იქნა ამ ორგანიზაციების 400-ზე მეტი ჯაშუში და დივერსანტი და, გარდა ამისა, ასზე მეტი აგენტი, რომლებმაც მონანიეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, ნებაყოფლობით გამოცხადდა.

დადგენილია, რომ შეპყრობილი და ნებაყოფლობით გამოცხადებული ოფიციალური თანამშრომლები და აგენტები იმყოფებოდნენ ამერიკის სადაზვერვო ცენტრების სამსახურში, რომლებიც არსებობენ დასავლეთ ბერლინსა და დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე იმ ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ გერმანული სახელწოდებანი, მაგრამ ფაქტიურად ამერიკის ჯაშუშურ-დივერსიული ცენტრების ფილიალებს წარმოადგენენ, მათ შორის ორგანიზაციებში, რომლებსაც მეთაურობენ ცნობილი ჰიტლერელები გელენი და ბლანკი, ეგრეთწოდებულ „არა-დამინობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფში“, „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტში“, „აღმოსავლეთის პოლიტიკურ ლტოლვილთა გაერთიანებაში“, „ქრისტიან დემოკრატთა კავშირის აღმოსავლეთის ბიუროში“ და სხვა. აგენტებს დავალებული ჰქონდათ მოეხდინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა, შეეკრიბათ ჯაშუშური ცნობები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა არმიის შესახებ, დეზორგანიზაცია შეეტანათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის აპარატის მუშაობაში, ეწარმოებინათ საბოტაჟი და განეხორციელებინათ სხვა დანაშაულებრივი აქტები.

მაგალითად, აგენტი ვაიგელი, რომელიც ასრულებდა გელენის ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის დავალებას, ცდილობდა ცეცხლგამჩენი ამპულებისა და ფეთქებადი საშუალებების გამოყენებით მოესპო გემი, რომელიც ვარნემიუნდეს ერეში შენდებოდა. ვაიგელმა აჩვენა, რომ მას ჰქონდა აგრეთვე დავალება აეფეთქებინა ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზის საყრდენი, რათა ელექტროენერგია მოესპო როსტოკისა და შვერინის ოლქებისათვის.

აგვისტოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებმა დაუპატიმრეს გელენის დაზვერვის აგენტები კარლ იულიუს ვიოლელმი, მიზერო ეკალლ მიზაელი და დორნ კეტი ელა ფრიდა, რომლებიც ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე. ისინი ყველანი გამოტყდნენ, რომ ამზადებდნენ დიდერსიებს მნიშვნელოვან სარკინიგზო ობიექტებზე (რკინიგზის კვანძები, ხიდები, დებობები, წყალსაწნეები კოშკები). დივერსანტებს ჩამოართვეთ შიფრები, კოდები, ინსტრუქციები და დანაშაულებრივი აქტების განსახორციელებელი სხვა საშუალებანი.

აგენტი ჰენელი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოგზავნა ეგრეთწოდებულმა „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტმა“, შეპყრობილ იქნა ცდის დროს ციანის კალიუმით მოეწამლა პირხის ქარხნის „კუნსტზაიდენვერკის“ მუშა მაქს ნოვაკი. ჰენელმა გამოძიების დროს აჩვენა, რომ მას დავალებული ჰქონდა აეფეთქებინა კაბელის არხი, რათა შეეჩერებინა ქარხნის მუშაობა. ამ დივერსიული აქტის განხორციელებას ხელი შეუშალა მუშა ნოვაკმა.

1954 წლის იანვარში შეპყრობილმა „ბრძოლის ჯგუფის“ დივერსანტმა ვოიტემ აღიარა, რომ მან რკინიგზაზე მოაწყო ავარია, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ამ ორგანიზაციის მეორე დივერსანტს ჰესლერს დავალებული ჰქონდა აეფეთქებინა მაგდებურგის ქარხანა „ერნსტ ტელმანის“ სამეფლო სამპრო, რათა დაერღვია ქარხნის მუშაობა და გამოეწვია ადამიანთა მსხვერპლი. დივერსანტებს ჰორნეისა და გროსეს დავალებული ჰქონდათ მწყობრიდან გამოეყვანათ კინოფაბრიკა „ვოლფენის“ ტურბინი და აეფეთქებინათ ფაბრიკის საკვამური. დივერსიები თავიდან აშორებულ იქნა ფაბრიკის მუშების სიფრთხილის მეოხებით.

„ბრძოლის ჯგუფის“ შეპყრობილმა აგენტებმა აჩვენეს, რომ მათ დავალებული ჰქონდათ დეზორგანიზაცია შეეტანათ სახელმწიფო აპარატისა და საწარმოების ცალკეული რგოლების მუშაობაში ყალბ მითითებათა, განკარგულებათა და დირექტივთა გავრცელების გზით, აგრეთვე თანამშრომელთა მიმართ შანტაჟისა და შეკარის გზით. ამ ძირგამომთხრელ მუშაობას აგენტები ეწეოდნენ ეგრეთწოდებული „ადმინისტრაციული ხელშეშლის გეგმის“ შესაბამისად, რაც ამერიკის სადაზვერვო ორგანოებმა შეიმუშავეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგამომძიებლო ორგანოების განკარგულებაშია ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების აგენტების დანაშაულებრივი საქმიანობის დამამტკიცებელი მრავალი ნივთიერი საბუთი. შეპყრობილ აგენტებს ჩამოართვეს კარაბინები, პისტოლეტები, ფეთქებადი ნივთიერებანი და ბომბები, რომელთაც ჰქონდათ ავტომატური აფეთქებლები, ამერიკული წარმოების რამდენიმე ათეული ადგილსატარებელი მიმდებ-გადამცემი რადიოსადგურები, განსაკუთრებული ფოტოაპარატები, დიდძალი ცივი იარაღი, ცეცხლგამჩენი ამპულები, ბიკფორდის შნური, შხამები, აგრეთვე საშიფრავი კოდები, სპეციალური მელანი და ჯაშუშობისა და დივერსიის სხვა საშუალებანი.

გელენის სადაზვერვო ორგანიზაციის ყოფილმა მოსამსახურემ ჰაიერ კაბანკემ და სხვა პირებმა, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვიდნენ, წარმოადგინეს დოკუმენტალური მასალა, რომ ცეცხლის წაკიდება, დივერსიები, მკვლელობა და სხვა მტრული აქციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ ხორციელდებოდა გელენის ორგანიზაციაში სპეციალურად საამისოდ შექმნილი სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელიც ჰიტლერული აბვ-2 მეთოდებით მუშაობს.

არსებული საგამომძიებლო მასალები, რომლებიც ემყარება შეპყრობილი აგენტების ნებაყოფლობით ჩვენებას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მათი დანაშაულებრივი მოქმედების მრავალი ფაქტი მოწმობენ, რომ ამერიკის ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების მიზნებია ხელი შეუშალონ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაახლოებას, მოწამლონ გერმანელთა ურთიერთობის ატმოსფერო და დანაშაულებრივი საშუალებებით ხელი შეუშალონ მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების საქმეს.

ამას ადასტურებენ ჯაშუშურ-დივერსიული ჯგუფების მონაწილეთა პირდაპირი აღიარებანი, კერძოდ, ჩვენებანი აგენტ მატლინსკისა, რომელიც მოქმედებდა ამერიკის საიდუმლო სამსახურის თანამშრომელ ბარტშის მითითებით.

ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების დაპატიმრებულმა და ნებაყოფლობით გამოცხადებულმა აგენტებმა აჩვენეს, რომ მათ ჰქონდათ ინსტრუქცია წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის. ივნისში გელენის დაზვერვის ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელმა გამოძიების დროს აჩვენა, რომ მისი ორგანიზაცია სისტემატურად ადევნებდა თვალყურს დასავლეთ გერმანიის ყველა ფირმას, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ამ ცნობებს გადასცემდნენ ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთ, რომლებიც იყენებდნენ მუქარია, შანტაჟისა და ეკონომიური ზეგავლენის მეთოდებს და აიძულებდნენ ამ ფირმებს შეეწყვეტათ ვაჭრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მასალები მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები თავიანთ აგენტებს აგროვებენ უპირატესად იმ პირთა შორის, რომლებიც მუშაობდნენ ჰიტლერულ სადაზვერვო სამსახურში, გესტაპოში, უშიშროების სამსახურში, სს-ში, აგრეთვე პოლიტიკურ და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის. ამასთან ერთად ეს ორგანიზაციები შანტაჟის, მუქარისა და მოტყუების მეთოდებით ცდილობენ პატიოსანი გერმანელები ჩააბან დანაშაულებრივ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია მათი სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ. აგენტებს, კერძოდ, აგროვებენ ლტოლვილთა შორის. დასავლეთ ბერლინში (მანტეოფელშტრასე, 31) შექმნილია საფილტრაციო პუნქტი, რომელიც მუშაობს ლტოლვილთა დაკითხვაზე, სადაც პატიოსან ადამიანებს აიძულებენ მონაწილეობა მიიღონ ჯაშუშობასა და დივერსიებში. ჯაშუშური ორგანიზაციების ქსელში ამრიგად მოქცეულ პირებს შემდეგ სპეციალურად წვრთნიან და დანაშაულებრივი დავალებებით გზავნიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საგამომძიებლო მასალებით გამორკვეულია, რომ ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ არასრულწლოვან ჰაბუკებსა და ქალიშვილებს და ბავშვებსაც კი. მაგალითად, აგენტებმა ვოლფმა და ფიშერმა აჩვენეს, რომ ისინი აიძულებდნენ მოსწავლეებს ხრისტა და ურსულა ვებერებს და სხვებს გავრცელებინათ ინსტრუქციაფურცლები, რომლებიც შეიცავდნენ მითითებებს ორთქლმავლებისა და ვაგონების საკისრებში ჩაეყარათ სილა, დაეწყვეტათ ტელეფონის მავთულები, დაეზიანებინათ სიგნალიო დანადგარები და ჩაედინათ სხვა დივერსიები ტრანსპორტზე. თვითეულ გავრცელებულ ფურცელში ვოლფი ბავშვებს უხდიდა 25 პფენინგს. კოტბუსის ოლქში გელენის აგენტების ჯგუფმა შეაღწია სკოლებში, სადაც ცდილობდა მოესყიდა მოსწავლეები და ჯაშუშური საქმიანობისათვის მოემზადებინა ისინი. ამაში აგენტები 80 მარკას იღებდნენ თვეში.

როგორც ფაქტები მოწმობენ, ამერიკის სამხედრო მზვერავმა ორგანობმა, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ საოკუპაციო ხელისუფალთა მდგომარეობასა და უფლებებს, დასავლეთ გერმანიაში და დასავლეთ ბერლინში შექმნეს თავიანთ აგენტურულ სამსახურთა ქსელი, რომლებიც ჯაშუშობასა და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. არსებული ჩვენებებით გამოირკვა, რომ ამერიკის ხელისუფალთ მარტო დასავლეთ ბერლინში აქვთ 17 ძირგამომთხრელი და მზვერავი სამსახური, მათ შორის: სადაზვერო სამმართველო ამერიკის უმაღლეს კომისართან (office of intelligence of the hickg), რომელიც მოთავსებულია უმაღლესი კომისრის ბერლინის წარმომადგენლობის შენობაში კლაიალეეზე, 170. იქვეა მოთავსებული ეგრეთწოდებული „პოლიტიკური დივერსიის განყოფილება“, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკელი მზვერავი ბეილი; ამერიკის სამხედრო-საზღვაო დაზვერვის ორგანო „ნეივი ინტელიჯენსი“ (ბერლინ-ცელენდორფი, კლაიალეე, 180) — ხელმძღვანელი ამერიკელი კაპიტანი დეი; ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო დაზვერვის სამმართველო ვისბადენში და მისი ფილიალი დასავლეთ ბერლინში, რომელსაც ეწოდება სპეციალურ გამოძიებათა განყოფილება „ოუ ეს-აი“ (office of special investigation), და მოთავსებულია „კოლუმბიაპაუსის“ შენობაში ტემპელჰოფის აეროდრომის რაიონში — ხელმძღვანელები ბაუერი, ალენდორფი და სხვები; ამერიკის პოლიტიკური დაზვერვის განყოფილება (ბერლინი კაიზერ-ვილჰელმშტრასე, 4); მე-8 რაიონის ამერიკის კონტრდაზვერვის სამმართველო „სი-აი-სი“ (ბერლინ-ცელენდორფი, კლაიალეე 172); ამერიკის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანო, რომელსაც ეწოდება „ემ-აი-დის 7.880 ქვედანაყოფი“ (ბერლინ-ცელენდორფი, კლაიალეე 80), რომელსაც მეთაურობს ლივინგსტონი, იგივე „სმიტი“, „პარკერი“, „პეტერზენი“. ამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოების მიერ დაპატიმრებულ იქნა და ნებაყოფლობით გადმოვიდა ამერიკის ზემოაღნიშნული ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების 155 აგენტი. ჩემ ხელთ არსებული მასალებიდან აგრეთვე ჩანს, რომ გელენისა და ბლანკის ორგანიზაციებსა და დასავლეთ გერმანიის სხვა ჯაშუშურ-დივერსიულ ცენტრებს აფინანსებენ ამერიკის სადაზვერვო ორგანოების საშუალებით და ისინი მუშაობენ მათი დირექტივების შესაბამისად. როგორც შეპყრობილმა აგენტებმა აჩვენეს, გელენის დაზვერვის ცენტრალური შტაბი, რომელსაც „გენერალური დირექცია“ ეწოდება, მოთავსებულია დაბა პულახის სამხედრო ქალაქში მიუნხენის ახლოს. „გენერალურ დირექციასთან“ არის ამერიკის დაზვერვის 40-მდე ექსპერტი და მრჩეველი, მათ შორის პოლკოვნიკი ჰენდრიკსი, პოდპოლკოვნიკი დუალი, მაიორი შმიტმორი და სხვები. გელენის ორგანიზაციის ეგრეთწოდებული გენერალური წარმომადგენლობანი მოთავსებულია მიუნხენში, მაინის ფრანკფურტში, დარმშტადტში, ბრემენსა და ამერიკის ზონის სხვა ქალაქებში. სხვა ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციებისა და მათი ფილიალების დიდი უმრავლესობა მოთავსებულია აგრეთვე ამერიკის ზონაში და ბერლინის ამერიკულ სექტორში. ცნობილია, რომ გელენის დაზვერვა ყოველწლიურად იღებს ამერიკული წყაროებიდან 20 მილიონ მარკას. ეგრეთწოდებული „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტი“ ამერიკელი მზვერავის ვაინის საშუალებით იღებს 65 ათას მარკას ყოველთვიურად. ამერიკული წყაროებიდან რეგულარულად იღებენ ფინანსურ სახსრებს აგრეთვე დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის სხვა ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშურ-დივერსიულ საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს დასავლეთ ბერლინის ამერიკელთა რაღიოსადგური „რიასი“. „რიასის“ პოლიტიკური განყოფილება ცდილობს შექმნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისი აგენტურული ქსელი, და გზავნის ეგრეთწოდებულ „კორესპონდენტებს“ ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად და დივერსიებისა და საბოტაჟის მოსაწყობად.

დივერსანტმა ლუკემ გამოძიების დროს განაცხადა, რომ მან „რიასის“ თანამშრომლის პარზენვოს (იგივე იოჰან ცერბე) დავალებით ცეცხლი წაუკიდა სახალხო საწარმოს „რიფენვერკეს“ საწყობს ქალაქ ფიურსტენვალდში, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი და 4 მილიონი მარკა ზარალი. „რიასის“ ეგრეთწოდებული ტექნიკური ტრანსლაციები, რომლებსაც სპეციალური კოდით აწარმოებენ, მიზნად ისახავენ ინსტრუქციები გაუწიონ ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების აგენტებს, რომლებიც გაიგზავნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და მოახდინონ მათი საქმიანობის კოორდინაცია.

ასეთია მხოლოდ მცირეოდენი ფაქტები ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ და რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ უწინარეს ყოვლისა ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფლებს.

ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობის წაქეზების პოლიტიკა გერმანიაში ამერიკის ხელისუფალთა მხრივ სრულიად არ შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პოტსდამის და სხვა ოთხმხრივი შეთანხმებებით მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გერმანიის განვითარების შესახებ. ასეთი პოლიტიკა, როგორც ეს სავსებით ცხადია, ისახავს გარკვეულ მიზანს — შექმნას გერმანიაში შეშფოთებისა და ურწმუნობის ვითარება, არ დაუშვას დაახლოება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის და გააღრმაოს გერმანიის გაოიშვა.

ბუნებრივია, რომ ეს პოლიტიკა თანაგრძნობას ვერ იპოვნის გერმანელ ხალხში. არ შეიძლება შემთხვევითად ჩითვალოს, რომ ამერიკის ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების მიერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეგზავნილი აგენტების უმრავლესობა გამომჟღავნებულ და მხილებულია თვით მოსახლეობის აქტიური ხელშეწყობით. აგრეთვე დამახასიათებელია, რომ როგორც უკვე აღნიშნული იყო, ასზე მეტი აგენტი ნებაყოფლობით გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებში და აღიარა დანაშაული, შეიგნო რა ამერიკის დაზვერვასთან თავისი დანაშაულებრივი კავშირის ანტიეროვნული ხასიათი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის უპირსპექტივობა. საბჭოთა ორგანოებს გერმანიაში, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ გადამწყვეტი ღონისძიებები მიიღონ იმ ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობის აღსაკვეთად, რომელიც წარმოებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, და ვერ შეურიგდებიან იმას, რომ ამერიკელი ხელისუფალნი აქეზებენ გერმანიის გაერთიანების საქმისადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლებს უკვე არაერთხელ მიუქცევიათ გერმანიაში ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა ყურადღება დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე მყოფი აღნიშნული ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობისათვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მე მტკიცედ მოვითხოვ, რომ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებმა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციების დასაშლელად და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მიმართული მათი დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ასეთ ღონისძიებათა მიღება ხელს შეუწყობდა გერმანიაში უშიშროებისა და ნდობის ვითარების შექმნას და გააადვილებდა იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებასთან მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე.

ამ წერილის პირი მე გავუგზავნე ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლეს კომისრებს“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გენერალურ ასამბლეაზე დაიწყო საერთო კამათი. კამათში პირველი გამოვიდა კანადის წარმომადგენელი პირსონი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

გენერალური კომიტეტის 28 სექტემბრის დილის სხდომა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით გაიმართა გენერალური კომიტეტის სხდომა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგის განხილვის დასამთავრებლად. სხდომა დაიწყო კვიპროსის თვითგამორკვევის საკითხის განხილვით.

საბერძნეთის წარმომადგენელმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ეს საკითხი შეეტანათ დღის წესრიგში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალურ ასამბლეას წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე სრული უფლება აქვს განიხილოს ყოველი საკითხი, რომელიც წესდების იურისდიქციაში შედის.

ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდმა გაილაშქრა დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ კვიპროსს სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ინგლისმა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების საფუძველზე საბერძნეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მიმართ, აგრეთვე შეინარჩუნოს „სტაბილურობა შუა აღმოსავლეთში“.

საფრანგეთის დელეგატმა ოპენომ მხარი დაუჭირა ინგლისის წარმომადგენლის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ეს საკითხი ეხება საშინაო იურისდიქციის დარგს.

შემდგომი განხილვის შემდეგ გენერალურმა კომიტეტმა ცხრა ხმით სამის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) გადაწყვიტა ეს საკითხი შეიტანოს დღის წესრიგში.

ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრალიამ ხმა მისცეს დღის წესრიგში კვიპროსის საკითხის შეტანის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების, კოლუმბიისა და ჰოლანდიის დელეგატებმა თავი შეიკავეს, ხოლო კომიტეტის დანარჩენმა ცხრა წევრმა მხარი დაუჭირა ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანას.

შემდეგ გენერალურმა კომიტეტმა მოიწონა, რომ წინასწარ დღის წესრიგში შეტანილ იქნას დანარჩენი საკითხები, მათ შორის ბირმის საჩივარი გომინდანელთა აგრესიის შესახებ. კომიტეტმა მოიწონა გენერალური მდივნის რეკომენდაციები კომიტეტებს შორის დღის წესრიგის საკითხების განაწილების შესახებ. ამ წინადადების თანახმად, პირველმა კომიტეტმა უნდა იმუშაოს შემდეგ საკითხებზე: კორეის საკითხი, კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის საკითხი, განიარაღების კომისიის მოხსენება, ტუნისის საკითხი, მაროკოს საკითხი, დასავლეთ ირანის საკითხი და კვიპროსის საკითხი.

ამით დაიხურა გენერალური კომიტეტის სხდომა.

28 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების არჩევნებია

პრაღა, 23 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრებისა და სლოვაკიის ეროვნული საბჭოს არჩევნები დანიშნა კვირას, 1954 წლის 28 ნოემბერს.

შეიქმნა ეროვნული კრების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია 27 კაცის შემადგენლობით, რომლებიც წარმოადგენენ ჩეხოსლოვაკიის ყველა პარტიასა და დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში

ამსტერდამი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მეცხრე ტურში საბჭოთა გუნდი ეთამაშებოდა დასავლეთ გერმანიის მოჭადრაკეებს.

მშვენივრად ითამაშეს თავიანთი პარტიები გროსმაისტერებმა სმისლოვმა და კერესმა. სმისლოვის წინააღმდეგ თამაშობდა ოსტატი შმიდი, რომელმაც აირჩია ალიოხინის დაცვა. საბჭოთა გროსმაისტერმა მცირე უპირატესობა მიიღო და ძლიერ კარგი თამაშით თანდათანობით მოიპოვა უპირატესი პოზიცია. ეფექტიანი სბოლოო კომბინაციით სმისლოვმა მოიპოვა გამარჯვება 38-ე სვლაზე.

კერესმა, რომელიც თეორებით თამაშობდა, დარგის წინააღმდეგ აირჩია სიცილიური დაცვის ჩიგორინის ვარიანტი და დებიუტის შემდეგ მალე მოიპოვა ინიციატივა. კერესმა პაიკის შეწირვით შემდეგში მოიგო ორი მსუბუქი ფიგურა ეტლში, რის შემდეგ მალე გაანაღდა თავისი უპირატესობა.

დიდხანს არ გაგრძელებულა პფაიფერისა და ბრონშტეინის პარტია. გერმანელმა ოსტატმა გამოიყენა სიცილიური დაცვის იშვიათი ვარიანტი. შეიქმნა მეტად რთული თამაში და ბრონშტეინი, რომელმაც არასწორად ხარჯა დრო სვლების მოფიქრებაზე, უკვე შუა პარტიაში აღმოჩნდა ცაიტნოტში. ამ მომენტში მან შესთავაზა ყაიმი, რომელიც პფაიფერმა მიიღო.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა ფრანგულ დაცვაში ძნელი ვარიანტი აირჩია პარტიაში უნციკერთან. გერმანელმა გროსმაისტერმა მოახერხა მიეღო პოზიციური უპირატესობა, ხოლო შემდეგ მოიგო პაიკი. ბოტვინიკი მტკიცედ იცავდა თავს და გადადებულ პარტიაში ყაიმის შანსი აქვს, რადგან ზედმეტი პაიკის გამოყენება ეტლების ენდშპილში უნციკერისათვის ძნელი იქნება.

მეცხრე ტურის დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ამსტერდამი, 23 სექტემბერი, (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით გათამაშდა მე-9 ტურის დაუმთავრებელი პარტიები. მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა ყაიმს მიაღწია პარტიაში მე გერმანელ გროსმაისტერ უნციკერთან. ამრიგად, სსრ კავშირ-დასავლეთ გერმანიის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ინგლისმა დიდი ანგარიშით 3,5:0,5 მოუგო ისრაელს.

იუგოსლავია-არგენტინის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2,5:1,5 იუგოსლავიის მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

დანარჩენი პარტიები ჯერ არ დამთავრებულა.

წინ არიან: სსრ კავშირი — 28 ქულა, იუგოსლავია — 22 ქულა, არგენტინა — 21,5 ქულა.

დანარჩენი გუნდების მდგომარეობა გამოირკვევა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების შემდეგ.

ამსტერდამი, 24 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მეათე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდმა ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეებს მოუგო მატჩი ანგარიშით 2,5 : 1,5. სამი პარტია: სმისლოვ-პახმანის, ფილიპ-ბრონშტეინის და ფიხტლ-გელერისა მშვიდი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. კერესმა მეცხრე სვლაზე შაიტარს შეწირა ფიგურა ორ პაიკში, ბრწყინვალედ განაწორიცალა იერიში და გაიმარჯვა მე-20 სვლაზე. ამრიგად, საბჭოთა კავშირის გუნდმა, უკანასკნელი ტურის შედეგების მიუხედავად, უკვე უზრუნველყო თავისთვის გამარჯვება ტურნირში მსოფლიო პირველობაზე.

იუგოსლავიამ ანგარიშით 2,5 : 1,5 მოუგო დასავლეთ გერმანიას. ყაიმით დამთავრდა ისლანდია-ჰოლანდიის მატჩი.

დღეს მოხდება გადადებული პარტიების გათამაშება უკანასკნელი ტურის წინ, რომელიც მოეწყობა ხვალ, 25 სექტემბერს. ახლა სსრ კავშირის გუნდს აქვს 30,5 ქულა. მეორე და შემდგომი ადგილებისათვის ბრძოლა მიმდინარეობს რამდენიმე გუნდს შორის: იუგოსლავიას აქვს 24.5 ქულა. შემდეგ მიდის არგენტინა — 23,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჩეხოსლოვაკია — 22 ქულა და ერთი გადადებული პარტია, დასავლეთი გერმანია — 22 ქულა, უნგრეთი — 20 ქულა და სამი დაუმთავრებელი პარტია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

სსრ კავშირის საბალნო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ეროვნული საბჭოსთან ოფიციალური ბაზარ-ბაზარი

მოგებათა მე-10 ტირაჟისა,

რომელიც გაიმართა 1954 წლის 19 სექტემბერს ქალაქ ასტრახანში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
060220	41*)	5.000	070296	01*)	1.000
060640	16*)	1.000	070309	06*)	1.000
060809	1—50	500	070344	31*)	1.000
060828	03*)	1.000	070381	30*)	1.000
061144	48*)	1.000	070803	42*)	1.000
061292	35*)	1.000	070815	28*)	1.000
061336	1—50	200	070890	44*)	1.000
061368	1—50	500	070941	1—50	500
061430	02*)	1.000	071205	26*)	1.000
061627	1—50	200	071222	50*)	1.000
061645	34*)	1.000	071238	37*)	1.000
061687	16*)	5.000	071244	43*)	1.000
062001	1—50	200	071348	24*)	1.000
062048	25*)	1.000	071420	37*)	1.000
062091	13*)	1.000	071465	43*)	1.000
062104	25*)	10.000	071593	41*)	1.000
062118	19*)	1.000	071726	39*)	1.000
062148	1—50	200	071743	1—50	500
062171	27*)	1.000	071753	1—50	500
062241	25*)	1.000	071962	45*)	1.000
062315	1—50	200	072081	1—50	200
062477	25*)	1.000	072098	19*)	5.000
062682	1—50	200	072138	38*)	1.000
062736	40*)	5.000	072482	46*)	1.000
062764	30*)	10.000	072548	35*)	1.000
062925	23*)	1.000	072695	20*)	1.000
062947	32*)	1.000	072730	1—50	200
063143